ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
Akhali Taoba

## კადიროვი საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას აპირებს?




გვ.4

სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 2015 №252 (6872) ფასი: 30 თეთრი

# გიორგი ვაშაძე: „სააკაშვილი უნდა დაისაჯოს, თუ მან დაუკვეთა ძალადობა ციხეებში“


გვ.3

„რუსთავი 2-ს დავიცავთ ყველანაირი გზით და ყველანაირი ფორმით“





პირადად მე ვაცხადებ საჯაროდ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, პირველი, რასაც გამოვიძიებ, სწორედ ეს ფაქტები იქნება! რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ვინ მონაწილეობდა, ვინ იცოდა ამის შესახებ, ვინ გასცემდა ბრძანებებს, ვინ ასრულებდა და ვინ სარგებლობდა ამ ყველაფრით



გვ.2

## ღარიბაშვილმა ასპინძის მაჟორიტარი დაიფრინა



რატომ მივარდნენ ნაციონალები მთავრობის ადმინისტრაციაში

## ამცახარა ხაჯიმბას წინააღმდეგ



გვ.5

ოპოზიცია ხელისუფლებას ფსიქოლოგიურ ტერორში ადანაშაულებს

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ნაციონალები ყოველთვის რუსეთზე მუშაობდნენ“


გვ.5

## ცხინვალი: დამოუკიდებლობა თუ რუსეთში შესვლა



გვ.4

## სოსო ცინცაძე: „მშიერ ადამიანს სიტყვის თავისუფლება არ ადარდებს“


გვ.2


გვ.6

## „მარგი“ — მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ჯანსაღი საკვები


გვ.5

## ვახტანგ გომელაური საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სოსო ცინცაძე: „მშიერ ადამიანს სიტყვის თავისუფლება არ ადარდებს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნების“ სიას პირადად ბიძინა ივანიშვილი შეადგენს.

გახდება თუ არა საპარლამენტო სია კოალიციაში დაპირისპირების მიზეზი? რაზე გაკეთდება აქცენტი საპარლამენტო სიის შედგენისას?

**სოსო ცინცაძე:**

– ყოფილ პრემიერ-მინისტრს კანონი არ უკრძალავს, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთოს. ალბათ, როგორც თქვა, ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთვება. „ქართული ოცნება“ მისი დაარსებული პარტიაა და ის გულგრილი ვერ იქნება ამ პარტიის ბედით. თუმცა, მთავარი ეს არ არის, მთავარი ის არის, რა პროგრამით აპირებს წარდგეს „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის წინაშე.

***– რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი?***

– დღეს ადამიანებს არ ადარდებთ სიტყვის თავისუფლება. როდესაც შია, ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. სიტყვის თავისუფლება ძალიან მაღალი ღირებულებაა, მაგრამ უმუშევარ შუახნის ადამიანს, რომელმაც ოჯახის გადარჩენაზე უნდა იფიქროს, ამ ღირებულებისთვის აღარ სცხელა. კახელ მევენახეს სულ არ ადარდებს, პრეზიდენტი როგორ აფასებს მთავრობის მუშაობას ან რუსთავი 2-ის მესაკუთრე ვინ იქნება.

პენსიების ზრდა, გადასახადების შემცირება, სოციალურად დაუცველი ფენების პატრონობა – ეს საკითხები აწუხებთ მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც. როგორია სოციალური ფონი, როგორია უმუშევრობის დონე ქვეყანაში? აი, ეს იქნება ის ტვირთი, რომლითაც „ოცნება“ გავა არჩევნებზე.

***– შეიძლება გაუჭირდეს მმართველ პარტიას ამომრჩევლის დარწმუნება?***

– სოციალური ფონის პარალელურად, ხელისუფლებას გაუჭირდება საზოგადოებას აუხსნას ამხელა ბიუროკრატიული აპარატის არსებობა. ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ნეპოტიზმი – ნათესაობით, მეგობრობით, პარტიული ნიშნით ადამიანების დასაქმება. ეროვნული ვალუტის გაუფასურება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, მაგრამ უკვე ლარის გაუფასურების საკითხი მთავრობის დღის წესრიგიდან გაქრა. გაუფასურებული ლარი ლამის დაგვიკანონდა.

***– ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეაფასა. ჩანს, რომ ის არ არის კმაყოფილი პარლამენტის მუშაობით. მის განახლებასა და ახალ სახეებზე გაკეთდა აქცენტი. ვინ შეიძლება იყვნენ ახალი სახეები?***

– 2012 წელს განსხვავებული მდგომარეობა იყო და დაკომპლექტდა პარლამენტი ისე, როგორც დაკომპლექტდა, მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში რა გაკეთდა, როგორ ხდება კადრების სელექცია?!

***– დეპუტატებს ხომ ვერ შეცვლიდა?***

– ცხადია, ვერ შეცვლიდა, მაგრამ უნდა ჩანდეს, რომ ტენდენცია შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა. მე რევოლუციურ ღონისძიებას არ ველოდები ამ მიმართულებით. ალბათ 2016 წლის არჩევნებისთვის კოალიცია შენარჩუნდება და მათ კვლავ კვოტები ექნებათ.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ რესპუბლიკური პარტიის საქმეებში ივანიშვილი ვერ ჩაერევა. საუბარია, თუ რა სიას წარადგენს რესპუბლიკური პარტია. ეს შეიძლება კოალიციაში დაპირისპირების საგანი გახდეს?***

– სწორედ ამას მოგახსენებთ. კოალიციაში შემავალი პარტიები კვოტებს მოითხოვენ და ვის შეიყვანენ სიაში, ამას ბიძინა ივანიშვილს არ ჰკითხავენ. ივანიშვილი „ქართული ოცნების“ სიას შეადგენს. თუმცა, „ქართული ოცნება“, როგორც დამოუკიდებელი პარტია, დღეს არ არსებობს. არსებობს კოალიცია „ქართული ოცნება“. არის რამდენიმე პიროვნება, რომელთაც არ აქვთ პარტიული წარსული და დღეს პარტია „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენენ.

***– დღეს ვინც წარმოადგენს პარტია „ოცნებას“, დარჩება სიაში?***

– ზვიად კვაჭანტირაძე, მანანა კობახიძე, ტრიპოლსკი, ვოლსკი, სესიაშვილი დღეს წარმოადგენენ პარტია „ქართულ ოცნებას“.

***– ამ ადამიანებს შეცვლის ივანიშვილი?***

– ვერ გეტყვით, ივანიშვილის უკმაყოფილება კონკრეტულად რითი არის გამოწვეული.

***– მაგალითად, იმით, რომ ინგლისური ენა არ იციან.***

– გამოდის, ინგლისური ენის მასწავლებლებით უნდა დაკომპლექტდეს პარლამენტი?! მსოფლიოს არც ერთ პარლამენტში აქცენტი პოლიგლოტებზე არ კეთდება.

***– რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი?***

– ევროპაში აქცენტი იურისტებზე, კანონშემოქმედებზე კეთდება, ვინაიდან პარლამენტის უმთავრესი ფუნქცია კანონშემოქმედებაა.

***– უკმაყოფილების მიზეზი, როგორც ჩანს, მხოლოდ ინგლისურის არცოდნა არ არის.***

– რა თქმა უნდა. ბატონი ბიძინა ხომ ხედავს, რომ დღევანდელმა პარლამენტმა არაპოპულარობის ყველა რეკორდი მოხსნა საქართველოს უახლეს ისტორიაში. შევარდნაძის პირველი პარლამენტი, რომელსაც უდღეურ პარლამენტს ეძახდნენ, ისიც კი გაცილებით პოპულარული იყო, ვიდრე ეს პარლამენტია.

***– ახალი სახეების მოძიება რთული იქნება?***

– მთვარიდან ხომ ვერ ჩამოიყვანს ახალ ხალხს?!

***– სიის პირველ ნომერს უკავშირდება მთელი ინტრიგა, რადგან ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკაში არ დაბრუნდება, ის ვერ იქნება სიის პირველი ნომერი. ვინ შეიძლება იყოს?***

– ძალიან რთული სათქმელია. არიან დეპუტატები, რომელთაც არავინ იცნობს, გარდა ოჯახის წევრებისა. მაგალითად მე, რომელიც არცთუ შორს ვდგავარ პოლიტიკიდან, მხოლოდ რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენების დროს გავიგე, რომ ქიბარ ხალვაშის და ყოფილა პარლამენტის წევრი. ასევე, ჟვანიას საქმის გამწვავების დროს გავიგე, რომ მისი ძმა ყოფილა დეპუტატი.

***– როგორ შეარჩევენ დეპუტატობის კანდიდატებს?***

– კრიტერიუმებზე ვერაფერს გეტყვით. როგორც ჩანს, სიას თავად ივანიშვილი დააკომპლექტებს.

# ღარიბაშვილმა ასპინძის მაჟორიტარი დაიფრინა

## რატომ მივარდნენ ნაციონალები მთავრობის ადმინისტრაციაში

შორენა მარსაგიშვილი






მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ, 26 ოქტომბერს, დიდი ხმაური იყო. ნაციონალური მოძრაობის 3 დეპუტატი იქ შესვლას შეეცადა. შენობაში შესვლა მხოლოდ ერთმა შეძლო, იმ ერთმა კი პრემიერი წყობილებიდან გამოიყვანა.

მთავრობის ადმინისტრაციაში მთის განვითარების სახელმწიფო კომისიის სხდომა იმართებოდა. ტარიელ ლონდარიძემ, გიორგი ვაშაძემ და აკაკი ბობოხიძემ გადაწყვიტეს, სხდომის მუშაობაში მიეღოთ მონაწილეობა.

ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი ლონდარიძე მთის განვითარების ეროვნული საბჭოს წევრია და ის უპრობლემოდ შეუშვეს შენობაში. ვაშაძე და ბობოხიძე უკან გამოაბრუნეს. კი იძახდნენ ის გაჭირვებულები, მანდატიანი დეპუტატები ვართო, მაგრამ მათი გოდება არავინ ილო ყურად.

აკაკი ბობოხიძის განმარტებით, მათ იმ ადამიანების სია, რომლებიც სხდომას უნდა დასწრებოდნენ, როგორც ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე მთავრობის ადმინისტრაციას მიაწოდეს.

ნაციონალების აზრით, მთავრობას მათი შეეშინდა და ამიტომ არ შეუშვეს შენობაში.

სკანდალის გარეშე არც სახელმწიფო კომისიის სხდომას ჩაუვლია. კოლეგების დაჩაგვრით აღშფოთებულმა ლონდარიძემ პრეტენზიები გამოთქვა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მას დღის წესრიგთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვები.

ირაკლი ღარიბაშვილს მისი კითხვა საეჭვოდ მოეჩვენა. მთავრობის მეთაურის განცხადებით, დეპუტატი ლონდარიძე სახელმწიფო კომისიის სხდომაში ქაოსისა და დაპირისპირების შეტანას ცდილობდა.

– თუ იმისთვის შემოხვედით, რომ დებოში ატეხოთ, დატოვეთ სხდომა. სახელმწიფო კომისიის სხდომაა და ნუ შემოგაქვთ ქაოსი და დაპირისპირება. დაელოდეთ და მოგცემთ სიტყვას. უფლება არ გაქვთ, ასე ისაუბროთ, – მიმართა პრემიერმა ლონდარიძეს.

ღარიბაშვილის განცხადების შემდეგ ლონდარიძემ სხდომა დატოვა. ის თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა.

– მთავრობას კითხვების შეეშინდა და ყველაფერი გააკეთეს, რომ სხდომა დამეტოვებინა, – განუცხადა გამოძევებულმა დეპუტატმა ჟურნალისტებს.

ინციდენტთან დაკავშირებით მოგვიანებით ღონისძიების ორგანიზატორმა ნოდარ ჯავახიშვილმაც გააკეთა კომენტარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით, ტარიელ ლონდარიძემ გადაწყვიტა, სხდომა პრემიერის ნაცვლად თავად წაეყვანა. მისი თქმით, ლონდარიძეს აშკარად ეტყობოდა, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზადყოფნა არ ჰქონდა.

– იქ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ საბჭოს წევრები, ხოლო სხვა რა დასწრება იყო საჭირო, ვერ ვხვდები და არაფერი არ შეიძლებოდა ჩემთან ყოფილიყო შეთანხმებული, რადგან საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებულია და დღეს მისი სხდომა იყო.

ტარიელ ლონდარიძე ესწრებოდა ამ სხდომას, მაგრამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ ეს სხდომა უნდა წაეყვანა თვითონ, პრემიერ-მინისტრის ნაცვლად, მერე აღშფოთდა და დატოვა. მე თუ მკითხავთ, ძალიანაც კარგი, თუ დატოვა, იმიტომ, რომ აშკარად ეტყობოდა, ეს არ იყო კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზადყოფნა, – აღნიშნა მინისტრმა.

ეკონომიკა

# ავთანდილ სვიმონიშვილი: „სავალუტო კრიზისმა ახალი საწარმოს მშენებლობის შესაძლებლობა მოგვცა“

## „თუ მონდომებული ხარ, ყველაფერი გამოგივა“

### ინტერვიუ კომპანია „წყალი მარგებელის“ დამფუძნებელ ავთანდილ სვიმონიშვილთან

***– ჩოხატაურში „ნაბეღლავის“ ახალი ქარხნის მშენებლობას გეგმავთ. როგორც ვიცით, სამუშაოები უკვე დაწყებულია და 10 თვეში დასრულდება. პროექტი მასშტაბურია და დაახლოებით 30 მილიონი დოლარის ინვესტირებაა დაგეგმილი. აქედან ნაწილი იბიარდის კრედიტია. რატომ გადაწყვიტეთ მშენებლობა ისეთ დროს, როცა ქვეყანაში სავალუტო კრიზისია და ბევრი მსხვილი ბიზნესი საინვესტიციო გეგმებს აკორექტირებს?***

– შეიძლება ვიღაცებს ეჩვენებათ, რომ დღეს დიდი რისკებია და ამიტომ ყველაფერი უნდა შეაჩერო და დააპაუზო. ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთ. ბიზნესს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მუდმივად სჭირდება განვითარება. დღეს ქვეყანაში სავალუტო კრიზისია, თუმცა, ამაში უნდა შეგეძლოს დაინახო როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური.

მაგალითად, ახლა უფრო გაიაფდა სამშენებლო მასალები, საწვავი, ჩვენ ყველაფერი ეს გამოვთვალეთ და მივხვდით, რომ სწორედ ახლაა ხელსაყრელი პერიოდი მშენებლობებისთვის და შემდგომი ეტაპის მომზადებისთვის.

სავალუტო კრიზისი ხომ მარტო ჩვენ არ გვეხება, ეს გლობალური პრობლემაა. ეს რომ 2-3 წელი გაგრძელდეს, ხომ უნდა იყო მომზადებული? ვფიქრობთ, რომ მშენებლობით და გადაიარაღებით ჩვენ ყველაზე წინ ვიქნებით.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „სააკაშვილი უნდა დაისაჯოს, თუ მან დაუკვეთა ძალადობა ციხეებში“

## „რუსთავი 2-ს დავიცავთ ყველანაირი გზით და ყველანაირი ფორმით“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ვაშაძე აფასებს.

***– ბოლო პერიოდში, საკმაოდ ხშირად გვსმენია შეფასებები, რომ ნაციონალური მოძრაობა სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადება და ამისთვის რუსთავი 2-ის თემას აქტიურად იყენებს. როგორია თქვენი პასუხი ამ მოსაზრებაზე?***

– ძალიან მარტივია, შეეშვან რუსთავი 2-ს და ვერაფერს ვერ გამოვიყენებთ. მისცენ რუსთავი 2-ს თავისუფლად მუშაობის საშუალება და ჩვენი მხრიდანაც შეწყდება ეს საჯარო პროტესტი.

***– მოწოდებებიც ხომ ისმის თქვენი მხრიდან?***

– დღეს ეს მოწოდებები ჩვენი მხრიდან სრულიად ლოგიკურია. ნამდვილად მოვუწოდებთ ხალხს, რომ უნდა გამოვიდნენ და დაიცვან სიტყვის თავისუფლება. ეს ცალსახაა, ეს ჩვენი პოზიციაა და ასე იქნება ბოლომდე.

***– იმედიც ხომ სწორედ ამ მოტივით დახურა თქვენმა ხელისუფლებამ, რომ მოწოდებები ისმოდა სახელმწიფო გადატრიალებისკენო. რა პარალელს გაავლებთ რუსთავი 2-თან დაკავშირებით?***

– ჯერ ერთი, იმედთან დაკავშირებით სრულიად სხვა შემთხვევა იყო. მეორეც, იმედის დახურვის შემდეგ ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე და გადადგა. ამის შემდეგ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა და ხალხს ჰქონდა საშუალება, საკუთარი მანდატით განესაზღვრა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში.

***– რუსთავი 2-ზე რას იტყვით?***

– ეს სასამართლო განხილვები არის ფარსი და ხელისუფლება ცდილობს, შეაჩეროს თავისუფალი მედიის მოქმედება. არანაირი მტკიცებულება ანტისახელმწიფოებრივი ქმედების არ არსებობს, გარდა აბსურდული გაზეთის მონაჩმახისა. როგორც ჩანს, კარგი მეზღაპრე ჰყავთ, რომელიც საოცარ გასაუბრებებს წერს ხოლმე. კარგად მახსოვს საუნაში გასაუბრება ადეიშვილი-სააკაშვილისა.

***– თქვენ აბსურდულს უწოდებთ და ეს ფარული ჩანაწერები დღემდე არ კარგავს აქტუალობას. წამებისა და გაუპატიურების კადრებიც აბსურდულია?***

– დიახ, ეს კადრები აქტუალურობას არ კარგავს. არ კარგავს მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ეს საქმეები არის გამოუძიებელი. სანამ ის ადამიანები, ვინც ჩართულნი იყვნენ ამ ყველაფერში, დამკვეთიც და შემსრულებელიც, ყველა შესაბამის სასჯელს არ მიიღებს, ყოველთვის ასე იქნება!






გიორგი ვაშაძე მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ ამ კადრებით ცდილობს, მოახდინოს მაქსიმალური მანიპულაცია და იძალადოს ხალხის აზრზე. ოპოზიციონერი აცხადებს, რომ „ოცნება“ ამით მოვიდა ხელისუფლებაში და ის ამას მიჩვეულია.

***– ბატონო გიორგი, ეს კადრები, ეს საშინელი სცენები არ ზრდის თქვენს პასუხისმგებლობას? ისე თავისუფლად საუბრობთ ამ ყველაფერზე, თითქოს თქვენი მმართველობის დროს არ ხდებოდა ეს ყოველივე.***

– ეს ჩვენს პერიოდში ხდებოდა და პასუხისმგებლობასაც აყენებს. ამ მიმართულებით ვფიქრობ, რომ კონკრეტული ადამიანები უნდა დაისაჯონ, ნებისმიერი, როგორი მაღალი თანამდებობის პირიც არ უნდა იყოს, ვინც ჩართული იყო ამაში! თუმცა აქ პრობლემა სხვა რამეშია.

***– რაშია პრობლემა?***

– იმაში, რომ, ფაქტობრივად, არავინ დასჯილი არ არის! მოძალადეები გარეთ არიან. პირადად მე ვაცხადებ საჯაროდ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, პირველი, რასაც გამოვიძიებ, სწორედ ეს ფაქტები იქნება! რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ვინ მონაწილეობდა, ვინ იცოდა ამის შესახებ, ვინ გასცემდა ბრძანებებს, ვინ ასრულებდა და ვინ სარგებლობდა ამ ყველაფრით!



**პირადად მე ვაცხადებ საჯაროდ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, პირველი, რასაც გამოვიძიებ, სწორედ ეს ფაქტები იქნება! რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ვინ მონაწილეობდა, ვინ იცოდა ამის შესახებ, ვინ გასცემდა ბრძანებებს, ვინ ასრულებდა და ვინ სარგებლობდა ამ ყველაფრით**

***– თქვენ აცხადებთ, რომ ყველა უნდა მიეცეს პასუხისგებაში, მათ შორის, დამკვეთები. ჩვენ კი გვესმის შეფასებები, რომ ეს ქვეყნის პირველი პირის, სააკაშვილის შეკვეთა იყო. მასაც დასჯით?***

– თუ გამოიკვეთება, რომ სააკაშვილმა დაუკვეთა ეს ყველაფერი, კი ბატონო, მაგრამ ეს ხომ აბსურდია! ბედუკაძეს რომ სააკაშვილმა დაუკვეთა ამ სიბინძურეების კეთება, ეს არის ასავალ-დასავალის აზრი. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემი პოზიცია ასეთია: მნიშვნელობა არ აქვს, ვინ დაუკვეთა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ვინ იყო თანამონაწილე და ვინ არა ამ ყველაფერში!

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ყველა უნდა დაისაჯოს და არა ისე, როგორც სამი წელია, „ქართული ოცნება“ იქცევა – დასჯილი არავინ არის და ყველას საპროცესო გაუფორმდა, ვინც კი ამაში მონაწილეობდა.

***– ადამიანები, რომლებსაც ნეიტრალური პოზიცია აქვთ, არც „ოცნება“ მოსწონთ და არც ნაცები, აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი მახინჯმა ფორმამ, კოჰაბიტაცია რომ ეწოდება, იმან მოიტანა. ამ აზრს თუ გაიზიარებთ?***

– ვერ გავიზიარებ. სამი წელია უკვე პროკურატურა მათ ხელშია. კოჰაბიტაციაზე შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ პირველ წელზე, დანარჩენი ორი წელი? თუმცა არც მაშინ არაფერი უშლიდა ხელს პროკურატურას, რომ სათანადო გამოძიება ჩაეტარებინა. ორი წელი საკმარისი დროა, რომ დამნაშავეები დასჯილიყვნენ.

***– ხომ განადგურდა ეს ფირები? როგორ ხვდება ინტერნეტსივრცეში?***

– ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ არაფერიც არ განადგურებულა! როგორც ჩანს, ყველაფერი შეინახეს „შავი დღისთვის“, როცა გაუჭირდებოდათ, მაშინ გამოექვეყნებინათ! „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს იმ ფაქტების გამოძიება, სამწუხაროდ, რაც იყო ნაციონალური მოძრაობის დროს.

***– რატომ არ უნდა აწყობდეს?***

– იმიტომ, რომ ამ ძალადობით მოვიდა! თუ ის გარიგებულია ბედუკაძესთან, ამ შეთანხმებას ვერ დაარღვევს. ასეთ შემთხვევაში ბედუკაძე მოაღებს პირს და ყველაფერს იტყვის. იტყვის, რატომ დათანხმდა ამას და მთლიანად გაიხსნება ეს პროცესი. აი, ამის ეშინია „ოცნებას“ და იმიტომ ეწინააღმდეგება ამ ყველაფრის გამოძიებას!

ოპოზიციონერი დეპუტატი ხაზს უსვამს, თუ რას მოჰყვა ამ კადრების გამოქვეყნება:

– ეს ყველაფერი მოჰყვა კვლევის შედეგებს, სადაც გამოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ არის ფაქტობრივად გაკოტრებული პოლიტიკური ძალა. მან კატასტროფულად დაკარგა რეიტინგი და ამას ველარაფერი შეაჩერებს! სწორედ ამას მოჰყვა ეს მწყობრი ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან.

***– მწყობრ ნაბიჯებში რას გულისხმობთ?***

– ჯერ იყო კადრების გამოქვეყნება, შემდეგ საჯაროდ ჩვენება ამ ყველაფრის, შემდეგ რუსთავი 2-ზე შეტევის აქტივიზაცია. ასევე პრემიერის განცხადებები, სადაც ის პირდაპირ მოუწოდებს საზოგადოებს დაპირისპირებისკენ. ამ ყველაფერს კი მოსდევს პოლიციის სრული უმოქმედობა.

ამით პოლიციის სრული დემორალიზება ხდება. პოლიციელები თავისი თვალით უყურებენ ამ ძალადობებს და აკრძალული აქვთ ყოველგვარი ქმედება. აი, ეს არის მწყობრი სტრატეგია, რომელიც აქვს ამ ხელისუფლებას.

ვაშაძე თვლის, რომ დღეს ხელისუფლებას აქვს ორი კონკრეტული გამოკვეთილი მიზანი: პირველი – დამოუკიდებელი მედიასაშუალებების განადგურება და მეორე – ოპოზიციური ფლანგის მთლიანად გაწმენდა. სხვა პირობებში ბიძინა ივანიშვილი ვერ ხედავს პერსპექტივას.

***– თქვენ კვლევები ახსენეთ, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი არ ენდობა ენდიაის კვლევებს. მათ არ სჯერათ, რომ პირველ ადგილზე ნაციონალური მოძრაობაა.***

– ძალიან შეფასებითია ის, რასაც თქვენ ამბობთ. რას ჰქვია, არ სჯერათ? ან არ ენდობიან? ეს, რბილად რომ ვთქვათ, სპეკულაციური განცხადებაა. ფაქტია, რომ შედეგები სახეზეა, კვლევა ჩაატარა ამერიკულმა ინსტიტუტმა. მისი კვლევებით თავის დროზე ქართულ ოცნებას 60% ჰქონდა რეიტინგი და იგივე კვლევით დღეს 11% აქვს. ეს ფაქტია. დღეს ქუჩაში ვერ ნახავთ ადამიანს, ვინც ამ ხელისუფლების მოქმედებით კმაყოფილია.

რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს განცდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ექნება მეტი რეიტინგი? კითხულობს ვაშაძე და იქვე პასუხობს:

– რომელი დანაპირები შესრულდა, სად არის დაპირებული საწარმოები!

***– ისევ რუსთავი 2-ის თემით რომ დავასრულოთ. თუკი ხალვაშმა მოიგო სასამართლო პროცესი, რას აპირებს ნაციონალური მოძრაობა?***

– რას ვაპირებთ ჩვენ, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, რას აპირებს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ სიტყვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია. მე პირადად ვაპირებ, რომ ვიყო რუსთავი 2-ში, ვაპირებ, მაქსიმალურად დავიცვა თუნდაც ამ უკანონო გადაწყვეტილების აღსრულებისაგან. ეს იქნება უკანონო გადაწყვეტილება!

***– როგორ უნდა დაიცვათ? თუკი მოსამართლე ხალვაშს მიაკუთვნებს ტელევიზიას, რით აღუდგებით წინ ამ გადაწყვეტილებას?***

– ჩვენ არ უნდა დავუშვათ აღსრულების პროცესი თვითონ რუსთავი 2-ის შენობასთან. ჩვენ იქ ვიქნებით და არ შევუშვებთ უკანონო გადაწყვეტილების შემსრულებლებს. იმ ადამიანებს, ვინც იქ მოვლენ!

***– ანუ რუსთავი 2-ს იცავთ ყველანაირი გზით და ყველანაირი ფორმით?***

– დიახ, ასეა. ახლაც იქ მივდივარ და დავიცავთ ყველანაირი გზით და ყველანაირი ფორმით!

## ეკონომიკა

### „საქართველოს ბანკიდან“ დიდი ოდენობით თანხა დაიკარგა

როგორც ბიპიენისთვის გახდა ცნობილი, შაბათს, 24 ოქტომბერს, „საქართველოს ბანკიდან“ დიდი ოდენობით თანხა დაიკარგა.




ჩვენი ინფორმაციით, საუბარია სულ მცირე 100 ათასი დოლარის ოდენობის თანხაზე. ერთ-ერთი ვერსიით, თანხა თავისუფლების მოედანზე მდებარე ფილიალიდან გაიტანეს და ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მოედანზე რუსთავი 2-ის კონცერტი მიმდინარეობდა.

„საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა სოფიო ბალავაძემ დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა, ვინაიდან მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

– ინციდენტი ნამდვილად მოხდა, მაგრამ დეტალებს ვერ მოგაწვდით. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არ ყოფილა დაყაჩაღება. თუმცა, ინციდენტი თანხასთან არის დაკავშირებული, – განაცხადა სოფიო ბალავაძემ.

მისივე თქმით, მომხდარი არც ბანკის მუშაობაზე და არც ბანკის მომხმარებელზე არ აისახება.

### ტრანსაერომ საქართველოში ფრენა შეწყვიტა




რუსულმა კომპანია ტრანსაერომ საქართველოში ფრენა შეწყვიტა.

როგორც „კომერსანტს“ თბილისის აეროპორტში განუცხადეს, ფრენები დაახლოებით 2 კვირაა აღარ ხორციელდება. ინფორმაცია „კომერსანტს“ დაუდასტურეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოშიც.

რამდენიმე კვირის წინ სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელი გურამ ჯალაღონია „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ ავიაკომპანია ტრანსაეროს საქართველოდან რეისების შეწყვეტისთვის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის არ მიუმართავს. მისივე თქმით, ავიაკომპანია რეისებს ახორციელებდა, თუმცა იყო რეისები, რომლებიც გაუქმდა.

ტრანსაეროს დიდი ვალი დაუგროვდა, მისი დავალიანება ჯამურად 67,6 მილიარდ რუბლს აღწევს.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავიაკომპანია სიბირის თანამეწილე ვლადისლავ ფილევმა ტრანსაეროს აქციების არანაკლებ 51%-ის შეძენის შესახებ გარიგებას მოაწერა ხელი.

ოქტომბრის დასაწყისში ტრანსაეროს აქციების 75% აეროფლოტს სიმბოლურ 1 რუბლად უნდა შეეძინა.

ტრანსაერო წარსულში რუსეთში გადაყვანების მოცულობით მეორე უმსხვილესი ავიაკომპანია იყო.

მან ფრენები 26 ოქტომბრიდან, როსავიაციის სერტიფიკატის ანულირებასთან დაკავშირებით შეწყვიტა.

მისი მგზავრების უდიდეს ნაწილს აეროფლოტი მოემსახურება.

* * *

ტრანსაერო საქართველოდან გასული წლის დეკემბრიდან დაფრინავს, აეროფლოტი კი ქართულ ბაზარზე უკვე ორი წელია ოპერირებს.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ცხინვალი: დამოუკიდებლობა თუ რუსეთში შესვლა

## რას ფიქრობს ხალხი

შორენა მარსაგიშვილი

მოსკოვის ცივი უარის მიუხედავად, ცხინვალში რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მაინც აპირებენ.

როგორც ოსური საინფორმაციო სააგენტო რესი იუწყება, რესპუბლიკის პრეზიდენტი რეფერენდუმის ჩატარებას წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გეგმავს.

2017 წლის გაზაფხულზე აქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება და როგორც ლეონიდ თიბილოვი ამბობს, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე უნდა გაირკვეს, რა პოზიცია აქვს ხალხს რუსეთში შესვლასთან დაკავშირებით.

სამხრეთელ ოსთა თავკაცს თუ დავუჯერებთ, მას ეს რეფერენდუმი მარტო რუსეთთან ჩასახუტებლად არ სჭირდება.

— ჩემი, როგორც ხელმძღვანელის, ამოცანა რესპუბლიკის საზოგადოების გაერთიანებაა. საწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება კონსოლიდირებული არ არის. რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში ხალხის გაერთიანება გარდაუვალია, — მიიჩნევს თიბილოვი.

როგორც ირკვევა, ცხინვალში მთლად ისეთი პრორუსული განწყობა არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. სამხრეთელთა მეთაურის თქმით, რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგეებმა რეფერენდუმის თემა პოლიტიკური თამაშებისთვის ველარ უნდა გამოიყენონ.

— რუსეთთან მეკავშირეობის და ინტეგრაციის დოკუმენტზე მუშაობისას ამ პრობლემას ერთხელ უკვე წავაწყდით და მივხვდით, თუ სადამდე შეიძლება მივეყვანეთ კონფრონტაციას. 2017 წლის აპრილში ან მაისში ჩვენთან საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. აღარ მინდა, რომ კრიზისული ვითარება კიდევ ერთხელ შეიქმნას. ამიტომაც არჩევნებამდე უნდა გავარკვიოთ, რას ფიქრობს ხალხი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე, — აცხადებს რესპუბლიკის მეთაური.




ხალხის აზრის გაგება ძალიან უნდა და რეფერენდუმის ჩატარებაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ჯერ არ იცის, დაითანხმებს თუ არა ამაზე რუსეთს.

— ეს საკითხი რუსულ მხარესთან ჯერ შეთანხმებული არ არის, — ამბობს თიბილოვი.

ის იმედოვნებს, რომ რეფერენდუმის ჩატარებაზე მოსკოვიდან „კურთხევას" მიიღებს და სჯერა, რომ სამხრეთელები დამოუკიდებლობას რუსეთის შემადგენლობაში ცხოვრებას ამჯობინებენ.

თიბილოვმა ჯერ არ იცის, რეფერენდუმის შემდეგ როგორ უნდა მოიქცეს. ამბობს, რომ ამაზე სტრატეგიულ პარტნიორს, რუსეთს უნდა მოეთათბირონ.

— ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩავატაროთ რეფერენდუმი და სამართლებრივად მზად ვიყოთ რუსეთის შემადგენლობაში შესასვლელად. ეს ისტორიული მომენტი აუცილებლად დადგება, — ოცნებებში გადავარდა პრეზიდენტი.

* * *

როდის დადგება ეს ისტორიული მომენტი, არავინ იცის. ამ დროისთვის მოსკოვი სამხრეთელთა ოფიციალურ ჩახუტებაზე უარს ამბობს. რუსეთის ხელისუფლება არც რეფერენდუმის ჩატარებაზე იძლევა თანხმობას.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა რუსეთი ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმის ჩატარებას ეწინააღმდეგება.

ასე იყო 1992 წელსაც, მაშინ ცხინვალში რიგით პირველი რეფერენდუმი ჩატარდა. როგორც პოლიტიკური მიმომხილველი იური ვაზაგოვი ამბობს, მის ჩატარებას ოფიციალურ თბილისთან ერთად რუსეთის იმჟამინდელი ხელისუფლებაც ეწინააღმდეგებოდა.

ვაზაგოვის აზრით, ელცინის რუსეთს ცხინვალთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ ჰქონდა მკაფიო პოლიტიკა ჩამოყალიბებული.

* * *

„ახალი თაობა" უკვე წერდა, რომ ცხინვალის რეგიონში პოლიტიკური პარტიების უმეტესობა მხარს უჭერს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას და რეფერენდუმის იდეასაც იწონებს. თუმცა მოსახლეობას ოდნავ განსხვავებული პოზიცია აქვს.

ჟურნალისტმა ზარინა სანაკოევამ ცხინვალში სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა. ჩვენი მკითხველისთვის ალბათ საინტერესოა, რას ფიქრობენ იქაურები რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე.

**ინარა, 62 წლის:**

— ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. რუსეთთან ერთად ყოფნა სიკეთის მომტანი იქნება.

**ნინა, 21 წლის:**

— მგონია, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა საჭირო არ არის. თანამშრომლობა უფრო გლობალურ მასშტაბებში შეიძლება.

**ნატალია, 19 წლის:**

— ამის გაკეთება არასწორად მიმაჩნია. რუსეთის შემადგენლობაში შესვლა საჭირო არ არის.

**აგუნდა, 19 წლის:**

— რუსეთის შემადგენლობაში არ უნდა შევიდეთ. ამას თუ გავაკეთებთ, დამოუკიდებლები აღარ ვიქნებით.

**დიანა, 37 წლის:**

— რეფერენდუმის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ყველა რუსეთთან ერთად ყოფნას უჭერს მხარს. რამდენჯერმე ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. რეალური სუვერენიტეტი ჩვენ არ გვაქვს. ამისთვის საჭიროა, მუშაობდეს წარმოება, ჩვენ არაფერი გვაქვს და რუსეთის ხარჯზე ვცხოვრობთ. ამიტომაც მე მხარს დავუჭერ რუსეთში შესვლას.

**აელიტა, 40 წლის:**

— გადავხედე სოციალურ ქსელ „ოდნოკლასნიკებს", სადაც ვიღაცები ანონიმური გვერდებით რეფერენდუმის თემაზე საუბრობენ, ისმის საუბრები იმაზე, რომ რეფერენდუმის ინიციატორი ესა თუ ის პარტიაა. უცბად ასეთი კითხვა გამიჩნდა, რა შუაშია აქ პარტიები, როცა ყველაფერი ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. მესმის, რომ პარტიები ამ თემას პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებენ, მაგრამ მე არ მინდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. მე დამოუკიდებლობას ვუჭერ მხარს. არ მსურს, რომ პრეზიდენტი ვიღაცამ დამინიშნოს.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ რეფერენდუმის თემა თიბილოვმა საკუთარი თავის გასაპიარებლად წამოსწია. ის 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და მხარდამჭერების მოძიებას სხვადასხვა გზებით ცდილობს.

მისმა ეშმაკობამ პირველი შედეგი უკვე გამოიღო. ოსური პორტალის „უასამოჰგას" ცნობით, რამდენიმე დღის წინ მათ ჩაატარეს სოციალური გამოკითხვა, საიდანაც გაირკვა, რომ სარეფერენდუმო განცხადების შემდეგ პრეზიდენტის რეიტინგმა ოდნავ აიწია.

# კადიროვი საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას აპირებს?

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღის წინ რამზან კადიროვმა საქართველოს საზღვრებს ქორივით ჩამოუქროლა. ჩვენს კარიბჭესთან მდგომმა ჩეჩენთა მეთაურმა საქვეყნოდ დაიფიცა, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ვერც ერთი ისლამისტი მებრძოლი ვერ გადმოვაო.

კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი **ზაალ კასრელიშვილი** მიიჩნევს, რომ კადიროვის პირით კრემლმა საქართველო და აზერბაიჯანი გააფრთხილა.

— რამზან კადიროვს საქართველოს მიმართ არანაირი ეტიკეტი არ დაურღვევია. მას არც ქართველები და არც საქართველო არაფერში დაუდანაშაულებია. უბრალოდ საზღვართან დადგა და განცხადება გააკეთა, რომ ვერც ერთი მებრძოლი ვერ გადავიდოდა რუსეთის ტერიტორიაზე. მართალია, ის ჩვენი მისამართით დელიკატური იყო, მაგრამ მისი გამოჩენა ჩვენს საზღვრებთან ხელისუფლებამ სათანადოდ უნდა შეაფასოს, — აცხადებს „ახალ თაობასთან" საუბარში კასრელიშვილი.

მისი თქმით, კადიროვს ამის თქმა გროზნოშიც შეეძლო, მაგრამ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი საგანგებოდ შეარჩია.

— მეფის რუსეთის დროს კავკასიის ჟანდარმის ფუნქციას თბილისი ასრულებდა. ახლა ეს ჟანდარმერია გროზნოშია, მთავარი ჟანდარმი კი კადიროვი გახლავთ. მას მიაჩნია, რომ მთელ კავკასიაში უნდა დაამყაროს წესრიგი. ჩვენს საზღვართან გაკეთებული განცხადებით, საქართველოსთან ერთად მან აზერბაიჯანიც გააფრთხილა. რუსეთმა საჭიროდ თუ ჩათვალა, კადიროვი საქართველოშიც შეეცდება შემოვარდნას და აზერბაიჯანშიც, — აღნიშნავს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი.

რამზან კადიროვს საკმაოდ კარგად გაწვრთნილი რაზმი ჰყავს. მის ხალხს ჩეჩნეთში კადიროველებად მოიხსენიებენ. ეს ხალხი, ისევე, როგორც კადიროვი და მოსკოვი, ყველაფერზეა წამსვლელი.

კავკასიის ჟანდარმმა რამდენიმე წლის წინ ინგუშეთის ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ოპერაცია ისე ჩაატარა, ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არც კი გაუფრთხილებია.

ახლა კადიროვი დაღესტანზე იწევს და იქ







გეგმავს ანტიტერორისტული ღონისძიებების გატარებას.

— დაღესტანი და ინგუშეთი ჩეჩენთა მეთაურისთვის იოლად ხელმისაწვდომია, რადგან ყველანი რუსეთის შემადგენლობაში არიან, მაგრამ რამდენად გაბედავს ის დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიაზე შეჭრას?

— კადიროვი ასრულებს რუსეთის დავალებას, კრემლისგან მითითება თუ იქნება, ის საქართველოშიც შემოიჭრება და აზერბაიჯანშიც. სხვა საქმეა, რამდენად მივცემთ ჩვენ ამის შესაძლებლობას. რუსეთს და კადიროვს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი არ აინტერესებთ. იმითაც ნუ დავიმშვიდებთ გულს, რომ ჩეჩნეთის მეთაური ვერ მოგვწვდება. მას საკმაოდ გრძელი ხელები აქვს და როცა უნდა, ევროპის ქვეყნებშიც აწყობს რაღაც-რაღაცებს. ის საუდის არაბეთშიც არ ერიდება ტერაქტების მოწყობას, — ამბობს კასრელიშვილი.

ევროპასა და საუდის არაბეთში კადიროვს თავისი ხალხი ჰყავს. ამბობენ, რომ უმაგისობა არც საქართველოშია. პანკისელი ახალგაზრდების ნაწილი მის მიმართ დადებითად არის განწყობილი. ხეობაში ამ ადამიანზე საუბარი ტაბუდადებულია. მასზე არც კარგს ამბობენ და არც — ცუდს.

ზაალ კასრელიშვილი ამ დუმილს შემდეგი მიზეზით ხსნის:

— პანკისში ჩეჩენთა მეთაურს არავინ ლანძღავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მიმართ დადებითად არიან განწყობილი. ეს ხალხი დუმილს თავისი ნათესავების კეთილდღეობისთვის ინარჩუნებს. პანკისელების უმეტესობას ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ჰყავს ნათესავები. ვინმემ მასზე აუგი რომ თქვას, გაიგებს და მათ ნათესავებზე იძიებს შურს.

კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის აზრით, ახლა რუსეთს ძალიან უჭირს და ისლამისტებთან საბრძოლველად კადიროვის დახმარება სჭირდება. ის არ გამორიცხავს, რომ კავკასიაში წესრიგის დამყარება სწორედ ჩეჩნეთის მეთაურს დაევალოს.

— რუსეთმა საბედისწერი შეცდომა დაუშვა, როცა სირიაში საომარ მოქმედებებში ჩაერთო. ამ გადაწყვეტილებით მან არა მარტო ისლამისტები, არამედ მთელი მუსლიმანური სამყარო გადაიკიდა. რუსეთის მოსახლეობის 30%-ზე მეტი ისლამის მიმდევარია და არავინ იცის, საიდან რა საფრთხე დაემუქრება მოსკოვს. მას რამდენიმე ფრონტზე უწევს ბრძოლა და კავკასიისთვის აღარ სცალია. აქაურობას, სავარაუდოდ, კადიროვს ჩააბარებენ, რომელიც თავის მხრივ კრემლის დავალებებს შეასრულებს, — მიიჩნევს კასრელიშვილი.

ისლამისტებთან ბრძოლაში გართულ მოსკოვს და გროზნოს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი უსიამოვნო სიურპრიზებს უწინასწარმეტყველებს.

— ამათ ყველგან ისლამისტები ელანდებათ და ამასობაში სულ დაავიწყდათ ის ხალხი, რომლებიც ჩეჩნეთის თავისუფლებისთვის იბრძვის. ამდენწლიანი ბრძოლის მიუხედავად, რუსეთმა მათი დამარცხება და ამოწყვეტა ვერ შეძლო. ეს ხალხი ტყეშია გასული და, ადრე თუ გვიან, თავის ბრძოლას განაახლებს.

ახლა კარგი მომენტი დგება ამისთვის. რუსეთი რამდენიმე ფრონტზე იბრძვის და თავისუფლებისთვის მებრძოლები აღარც კი ახსოვს. სამაგიეროდ, ამ ხალხს ახსოვს, რომ სამშობლო უნდა გაათავისუფლონ. კადიროვსა და რუსეთს მათი მხრიდან მომავალში ბევრი უსიამოვნება შეხვდება, — აცხადებს კონფედერაციის პრეზიდენტი.

მისი თქმით, ჩეჩნეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღის დაწყების შემთხვევაში, პროცესები საინტერესოდ განვითარდება.

— ამ ბრძოლაში აუცილებლად ჩაერთვებიან დაღესტანი, ინგუშეთი, ყაბარდო. წინ ბევრი ცუდი რამე ელოდება რუსეთს. ცალკე ისლამისტებთან მოუწევს ბრძოლა, ცალკე — განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებთან, — ამბობს კასრელიშვილი.

ამ ბრძოლის დაწყების შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველო შარში აღმოჩნდეს,.

— კავკასია თუ აირია, საფრთხეები ჩვენც გვემუქრება, შესაძლოა, აქედან ვიღაცამ მართლაც სცადოს რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლა, ამას მოსკოვი სათავისოდ გამოიყენებს და საქართველოში რაღაცას მოაწყობს.

პანკისზე მას ცუდად აქვს თვალი დადგმული, თანაც, კადიროვის პირით უკვე გაგვაფრთხილა. ამ კაცს, როგორც უკვე გითხარით, ჩვენ მიმართ ეტიკეტი არ დაურღვევია, მაგრამ კრემლის დავალება თუ იქნა, აუცილებლად შეეცდება შემოჭრას. იმედი მაქვს, ჩვენი სპეცსამსახურები მზადყოფნაში არიან, — აცხადებს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი.

# ამცახარა ხაჯიმბას წინააღმდეგ

## ოპოზიცია ხელისუფლებას ფსიქოლოგიურ ტერორში ადანაშაულებს

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ პოლიტიკურმა ორგანიზაცია ამცახარამ თავის ხალხმრავალ ყრილობაზე გადადგომისაკენ მოუწოდა პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას.

მას შემდეგ დაძაბულობა არ შენელებულა.

აფხაზური მედიის შეფასებით, აფხაზეთში კრიზისს ქმნის არა მარტო ბრძოლა სავარძლებისა და რესურსებისათვის, არამედ პერსპექტივების უქონლობა.

აფხაზი ჟურნალისტების სიტყვებით, აფხაზეთში არავინ ინტერესდება მოსახლეობის განწყობების კვლევით. თუმცა, ამის გარეშეც ცხადია, რომ ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხი იკლებს.

საზოგადოების იმედგაცრუების ერთ-ერთი მიზეზი არარეალისტური საარჩევნო დაპირებებია. კიდევ ერთი მიზეზი უკავშირდება ჩავარდნას უსაფრთხოების სფეროში და მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციას.

ამცახარა კი ხელისუფლებას ახალ ბრალდებებს უყენებს.

– ამცახარას ყრილობის შემდეგ, რომლის რეზოლუციაც შეიცავს მოთხოვნას პრეზიდენტის გადადგომისა და არჩევნების დანიშვნის თაობაზე, ხელისუფლებამ მთელი სიმძლავრით აამოქმედა თავისი პროპაგანდა. სახელმწიფო ტელევიზია ეწევა ოპოზიციის დისკრედიტაციას. ოპოზიციამ გაკოტრებული ხელისუფლება შეაშინა, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.



### პროკურატურა ოპოზიციას ემუქრება

წერილის ავტორები სამარცხვინოს უწოდებენ იმას, რომ ხელისუფლების დირიჟორობით ოპოზიციის ლანძღვაში ჩაერთო ინტელიგენციის ნაწილიც.

– ინტელიგენტიის დანიშნულება ეს არ არის, – აცხადებენ ამცახარას წევრები.

მათი სიტყვებით, ხელისუფლება ამცახარას ყრილობის მონაწილეების წინააღმდეგ ასევე იყენებს ფსიქოლოგიური ტერორის მეთოდებს. კერძოდ, სატელეფონო მუქარებსა და ქუჩურ გარჩევებს.

– ეს მოსალოდნელი იყო პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გულახდილი განცხადებების შემდეგ. განცხადებები შეეხება ოპოზიციაზე მკაცრ ძალისმიერ ზემოქმედებას. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ხაჯიმბა არათანმიმდევრულია და არ შეუძლია დიალოგი, – ამბობენ ოპოზიციონერები.

ამცახარა შეახსენებს ხელისუფლებას, რომ აფხაზეთის კონსტიტუცია უზრუნველყოფს აზრის გამოთქმისა და მშვიდობიანი შეკრებების უფლებას. ორგანიზაცია ხაჯიმბას მოუწოდებს, ნუ გამოიყენებს ოპოზიციასთან საბრძოლველად საკუთარ ქვეშევრდომებს, რომლებიც უწმაწურ გამოთქმებს იყენებენ.

* * *




ოპოზიციას გამოეხმაურა პროკურატურა, რომელმაც ამცახარას ყრილობაზე გამოთქმულ ზოგიერთ ბრალდებაზე კომენტარი გააკეთა.

მაგალითად, ოპოზიციამ დაუჯერებლად მიიჩნია შსს-ს წინასწარი დაკავების საკნიდან გვირაბით დაკავებულების გაქცევა. პროკურატურამ კი დააზუსტა, როგორ გაიქცნენ ეჭვმიტანილები.

პროკურატურა განმარტავს, თუ რატომ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე ლეონიდ ძიაპშბას წინააღმდეგ, რომელიც ახლახან შს მინისტრად დაინიშნა. სამართალდამცავების თქმით, ეს მოხდა იმის გამო, რომ ბრალდებისთვის საფუძველი არ არსებობდა.

გენპროკურატურა ურჩევს ოპოზიციას, ხელი აიღოს ტენდენციურ და არასარწმუნო ინფორმაციის გავრცელებაზე.

– უსაფუძვლო გამონათქვამები ხელისუფლების მისამართით კონსტიტუციური წესრიგის საფუძვლების და უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულის თაობაზე ატარებს პროვოკაციულ ხასიათს. დესტაბილიზაციის ნებისმიერი მცდელობა აღიკვეთება, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე, – ნათქვამია აფხაზეთის პროკურატურის განცხადებაში.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „ნაციონალები ყოველთვის რუსეთზე მუშაობდნენ“

გულიკო ბალაძე

დეპუტატმა გიორგი გაჩეჩილაძემ „პირველის“ პრესკლუბში ბიძინა ივანიშვილის შაბათის ინტერვიუ და სხვა პოლიტიკური საკითხები მიმოიხილა.

– შევამჩნიე, რომ ბიძინა ივანიშვილი გულნატკენია. მის წინააღმდეგ ატეხილია აჟიოტაჟი, რომელიც ნაციონალებმა სპექტაკლის სახით დადგეს. პარლამენტშიც და მედიაშიც ნაცმოძრაობის ყველა გამოსვლა ბიძინა ივანიშვილის ლანძღვით მთავრდება. ეს არის მესიჯი, რომელიც ნაცმოძრაობის შემუშავებულია, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

დეპუტატი მოუწოდებს ივანიშვილს, ამ აჟიოტაჟს ყურადღებას ნუ მიაქცევს.

***– რუსთავი 2-თან დაკავშირებით დავაზე რა აზრის ხართ?***

– დღევანდელი მეპატრონეებიც არ არიან კანონიერი მეპატრონეები. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ძმა ყარამანაშვილი რუსული კომპანია „ბილაინის“ ერთ-ერთი მოწილეა საქართველოში. ამით ძალიან სერიოზული ძაფი შეიძლება გააბა.

***– ქიბარ ხალვაშის მოთხოვნასა და სასამართლო პროცესთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

– ვერავინ მეტყვის, რომ ხალვაშს უფლება არ აქვს, იდავოს თავის ქონებაზე. დავა სამართლიანად გადაწყდება თუ არა, იმის მიხედვით ვიმსჯელოთ.

დეპუტატი ამბობს, რომ ჩვენთან დამოუკიდებელი მედიის არსებობა პრობლემატურია:

– ღარიბი ქვეყანაა. ბიზნესი ღარიბია, შემოსავლები ნაკლებია. ამიტომ ძალიან ნუ მოიკლავენ თავს იმის ძახილით, რუსთავი 2 დამოუკიდებელი ტელევიზიააო. ერთმანეთში გაარკვიონ, ვის მფლობელობაში იყო და ვის რამდენი წილი ეკუთვნის. ამას სასამართლო გადაწყვეტს.

***– ხელისუფლების დამხობის მზადების მუხლით საქმე აღიძრა. რა შეგიძლიათ თქვათ?***



– ამას ვიკილიქსები არ სჭირდება. ნაცმოძრაობის ძირითადი ბერკეტია პიარი. ისინი ქუჩაში დემონსტრაციებით, გამოსვლით გეგმავენ ხელისუფლების ცვლილებას. პირდაპირ არის მინიშნება, რომ დესტაბილიზაცია უნდა მოვაწყოთ და ამ ფონზე მოვითხოვოთ რიგგარეშე არჩევნებიო.

***– რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში ძალაუფლების დაბრუნების შანსი აქვთ?***

– არა მგონია, მაგრამ მათ დესტაბილიზაციის მოწყობის ინტერესი აქვთ. ხელისუფლებამ ალბათ ეს იცის და ამიტომ იქცევა ფრთხილად. იცის, რომ შეიძლება მკვლელობები მოხდეს. ესეც ტექნოლოგიებია. დესტაბილიზაციის უკან დგას ჩრდილოეთი.

***– როგორ?***

– ძალიან მარტივად. რამდენიც უნდა იძახოს ნაცმოძრაობამ, დასავლეთი, დასავლეთიო, სააკაშვილის ხელისუფლება ყოველთვის მუშაობდა საქართველოში რუსეთის ინტერესების გატარებაზე. ეს ჩანს ეკონომიკიდან, რომელიც მათ დაგვიტოვეს. ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსების ხელშია. ელენერგიის გამომუშავების 65% რუსული კომპანიების ხელშია. ყველაფერი სააკაშვილის პირობებში განხორციელდა.

***– გაზპრომთან მოლაპარაკებებზე რა აზრის ხართ?***

– საქართველოში ახლა ხორციელდება ორი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პროექტი, რომელიც რუსეთისთვის კატასტროფულად ცუდია. ეს არის აბრეშუმის გზა, რომლითაც რუსეთის გვერდის ავლით ტვირთები უნდა გადაიზიდოს ევროპაში, მეორეა შაჰ-დენიზი-2. ეს არის გაზის უზარმაზარი ნაკადი, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით პირდაპირ ევროპაში უნდა გავიდეს.

რუსეთს რა დარჩენია, კიდევ ტანკებით ხომ არ შემოვარდება? ამიტომ რუსეთს აწყობს საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობა, ამ პროექტების განხორციელება რომ გადაიდოს, ან სიტუაცია სულაც აირიოს. ვფიქრობ, ხელისუფლება საჭირო ღონისძიებებს ატარებს, თორემ საქართველოს, შეიძლება, კატასტროფა დაემუქროს.

# შს მინისტრის მოადგილე პროგრამის — „ქალთა ლიდერობის განვითარება“ — გახსნას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილესთან, ნიკოლას ბერლინერთან ერთად სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამის – „ქალთა ლიდერობის განვითარება“ – გახსნას დაესწრო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა.



პროგრამაში, რომელიც 26-30 ოქტომბერს ჩატარდება, სხვადასხვა რეგიონიდან შს სამინისტროს რამდენიმე დანაყოფის 15 ქალი პოლიციელი მონაწილეობს. კურსი მიზნად ისახავს მონაწილეთათვის გუნდური მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების, კომუნიკაციის, სწავლებისა და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

# ვახტანგ გომელაური საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-მაიორი ვახტანგ გომელაური საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩს, აზერ თოფიგ ოღლუ ჰუსეინს შეხვდა.

შეხვედრისას აღინიშნა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული მრავალწლიანი და განგრძობითი სტრატეგიული თანამშრომლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხაზი გაესვა უსაფრთხოების, ტრანსსასაზღვრო, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში არსებული შედეგიანი ურთიერთთანამშრომლობის პროგრესის აუცილებლობას.

მხარეებმა მიმოიხილეს რეგიონში და მსოფლიოში არსებული სიტუაცია და გამოკვეთილი ტენდენციები, ისაუბრეს ორი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ და შეაჯერეს უსაფრთხოების მიმართულებით სამომავლო ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გააქტიურების პერსპექტივები.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „მარგი“ — მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ჯანსაღი საკვები

## „მარგის“ არ აქვს გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგჩვენებები

**ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გელა სულაბერიძესთან**

***— ბატონო გელა, „მარგი“ მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვებია. რა არის მცენარეული ბოჭკოები და რითაა იგი მნიშვნელოვანი?***

— მცენარეული ბოჭკოები რთული ნახშირწყლებია, რომელიც არ მოინელება საჭმლის მომნელებელი სეკრეტებით (წვენებით) და ფერმენტირდება ნაწლავის მიკრობებით.

კვების რაციონში მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი დღეისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებების, ე.წ. ცივილიზაციის თანმხლები დაავადებების განვითარების და გახშირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზადაა აღიარებული.

მცენარეული ბოჭკოების მნიშვნელობის დასამტკიცებლად ამ დაავადებათა ნაწილის ჩამოთვლაც კი საკმარისია: გულის იშემიური დაავადება (სტენოკარდია, ინფარქტი), არტერიული ჰიპერტენზია, ინსულტი, შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ყაბზობა, ნაწლავის დივერტიკულოზი, ნაღვლკენჭოვანი დაავადება, სიმსივნეები და სხვა.

***— რამდენს ვიღებთ და რამდენი უნდა მივიღოთ მცენარეული ბოჭკოები?***

— როგორც ევროპის, ისე ამერიკის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღე-ღამეში იღებს 13 გრამამდე მცენარეულ ბოჭკოს, რაც აუცილებელი მინიმუმის ნახევარი ან ნაკლებია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით თითოეულმა ზრდასრულმა ადამიანმა დღე-ღამეში სასურველია მიიღოს მინიმუმ 25 – 40 გრამი მცენარეული ბოჭკო, ხოლო ბავშვებმა – ასაკს პლუს 5 გრამი.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იღებს მცენარეული ბოჭკოების აუცილებელი მინიმუმის ნახევარზე ნაკლებს. კვლევები მიმდინარეობს და უფრო ზუსტი მონაცემები გამოქვეყნდება.

***— რატომ უნდა მივიღოთ მცენარეული ბოჭკოები და შევივსოთ მისი დეფიციტი?***

— ამ საკითხს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ძალიან ბევრი ნაშრომი მიეძღვნა. მათი განხილვა ჩვენი ინტერვიუს მიზანი არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ ერთ ინტერვიუში ეს შეუძლებელია.

მე შემიძლია მოგაწოდოთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოწოდებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და პროფესიულ ორგანიზაციათა რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენი მკითხველისთვის გასაგებს გახდის, რატომ უნდა მივიღოთ მცენარეული ბოჭკოები და შევივსოთ დეფიციტი.




ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომ თითოეულმა ზრდასრულმა დღე-ღამეში სასურველია მიიღოს მინიმუმ 25 – 40 გრამი მცენარეული ბოჭკო, ხოლო ბავშვებმა – ასაკს პლუს 5 გრამი, ცალსახად ნიშნავს, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

დადგენილია, რომ საკვებით მიღებულ ყოველ 1000 კილოკალორიაზე 14 გრამი მცენარეული ბოჭკოს მიღებას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკის შემცირების ეფექტი გააჩნია.

ამერიკის დიაბეტის ასოციაციის მიერ რეკომენდებულია მინიმუმ 14 გრამი მცენარეული ბოჭკოს მიღება 1000 კილოკალორიაზე, ანუ დღე-ღამეში 30 -50 გრამი მცენარეული ბოჭკოს მიღება ტიპი 2 დიაბეტის მქონე პაციენტებისთვის.



**„მარგი“ შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით შეუძლიათ მიიღონ როგორც ჯანმრთელებმა, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონეებმა და ავადმყოფებმა**

მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსება 25%-ით ამცირებს ნაწლავისა და ძუძუს კიბოს განვითარების რისკს.

მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსება აუცილებელი პირობაა იმუნური სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისთვის.

მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსებით გამოწვეული ეფექტი განსაკუთრებით დიდია საჭმლის მომნელებელი სისტემის და წონის რეგულირებაში, რასაც ყველაზე სწრაფად გრძნობენ პაციენტები. ამიტომ ყველა ამ დაავადების მართვის რეკომენდაციებში მითითებულია მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსების აუცილებლობა.

მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსების საჭიროების დამადასტურებელი არგუმენტები, ვგონებ, საკმარისია.

***— რომელი პროდუქტები შეიცავს მცენარეულ ბოჭკოებს?***

— მცენარეულ ბოჭკოებს შეიცავს მცენარეული პროდუქტები. პოპულარული და ფართოდ გამოყენებადი ხილის, ბოსტნეულისა და მწვანილის უმრავლესობის 100 გრამი დაუმუშავებელი (გაუფცქვნელი) სახით შეიცავს 0.5-დან 3 გრამამდე მცენარეულ ბოჭკოებს. მცენარეული ბოჭკოებით მდიდარია მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის ქერქი (ქატო):

100 გრამი ხორბლის ქერქი (ქატო) შეიცავს 43 გრამ მცენარეულ ბოჭკოებს.

100 გრამი ქერის ქერქი (ქატო) შეიცავს 21 გრამ მცენარეულ ბოჭკოებს.

100 გრამი ჭვავის ქერქი (ქატო) შეიცავს 17 გრამ მცენარეულ ბოჭკოებს.

100 გრამი შვრიის ქერქი (ქატო) შეიცავს 15 გრამ მცენარეულ ბოჭკოებს.

***— მარცვლეულის ქერქის (ქატოს) შემადგენლობა მეტად მომხიბლავია, ალბათ ამიტომ მომრავლდა ქატოთი მდიდარი პროდუქტები?***

— მეტად სასიამოვნოა, რომ ჩვენი მოსახლეობა ქატოთი დაინტერესდა და ცდილობს, იგი ჯანმრთელობის სამსახურში ჩააყენოს. გაჩნდა მრავალი პროდუქტი, რომელიც მარცვლეულის ქერქის (ქატოს) ბაზაზეა დამზადებული. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია რამდენიმე პრინციპული მომენტი, შეიძლება ითქვას პრობლემა, რამეთუ მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კეთილი მიზნები შესაძლებელია ჯანმრთელობისთვის საზიანო, სახიფათოც კი გახდეს.

მარცვლეულის ქერქი მარცვლეულის დასაცავადაა შექმნილი, რის გამოც იგი უხეში და ჰიდროფობულია (სითხეს არ შეიწოვს). წინააღმდეგ შემთხვევაში მარცვლეული მინდორშივე გაფუჭდება. უხეში და ჰიდროფობული საკვების მონელება ჯანმრთელისთვისაც კი ძალიან ძნელია, რადგანაც მასში ვერ აღწევს საჭმლის მომნელებელი სეკრეტები (კუჭის, პანკრეასის, ნაწლავის და სხვა წვენები). ამავე დროს სიუხეშე იწვევს კუჭნაწლავის ლორწოვანის გაღიზიანებას და მოტორულ-ევაკუატორული ფუნქციის არასასურველ სტიმულაციას. სწორედ ამის გამოა უხეში საკვების მიღების შემდეგ ტკივილი მუცლის არეში, მუცლის ბერვა, ფაღარათი და სხვა. სწორედ ამიტომ დაუმუშავებელი უჯრედისით მდიდარმა საკვებმა შესაძლებელია კუჭნაწლავის დაავადებები გამოიწვიოს ან არსებული დაავადებები გაამწვავოს, მით უმეტეს დღეს, რადგან თანამედროვე ადამიანი, წინაპართაგან განსხვავებით, უხეში საკვების მიმართ ნაკლებად ადაპტირებულია.

***— როგორ უნდა მოიქცნენ ავადმყოფები, რომელთაც ეს დაავადებები უკვე აქვთ?***

— მათ დაუმუშავებელი ქერქით (ქატოთი) მდიდარი საკვები არ უნდა მიიღონ. სამედიცინო ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ასეთი საკვები მათთვის წინააღმდეგნაჩვენებია. ამიტომ ყველა იმ პროდუქტზე, რომელიც დაუმუშავებელი ან არასრულად დამუშავებული ქერქითაა (ქატოთია) მდიდარი, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული იმ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლის დროსაც იგი წინააღმდეგნაჩვენებია. ეს აღიარებული სტანდარტია მთელს მსოფლიოში და შეუძლებელია ამაში რომელიმე ექიმი არ დამეთანხმოს.

***— როგორაა „მარგის“ შემთხვევაში, იგი ხომ მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვებია?***

— „მარგის“ ტექნოლოგია სწორედ ამ პრობლემების გადაჭრისთვისაა შექმნილი. უხეში მარცვლეულის ქერქი ჯერ მექანიკურად ეტაპობრივად მუშავდება, რომლის დროსაც მისი აპკის მთლიანობა ირღვევა და იგი რბილი და ჰიდროფილური ხდება (სითხეს ადვილად იწოვს). შემდგომში იგი ჯირჯვდება და მჟავე გარემოთი მუშავდება, რის გამოც აღარ აქვს წინააღმდეგჩვენებები და გვერდითი მოვლენები. ამავე დროს ჩვენი ტექნოლოგიით დამუშავებული მარცვლეულის ქერქიდან (დაუმუშავებლისგან განსხვავებით) ორგანიზმი სრულად ითვისებს იმ უნიკალური შემადგენლობის ნუტრიენტებს, რომელიც მარცვლეულის ქერქს აქვს (ცილები, მინერალები, მიკროელემენტები, ვიტამინები და სხვა).

„მარგი“ შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით შეუძლიათ მიიღონ როგორც ჯანმრთელებმა, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონეებმა და ავადმყოფებმა. სწორედ ამიტომაა „მარგი“ – ჯანსაღი საკვები ყველასთვის.

***— როგორც ჩანს, შესაძლებელია „მარგით“ მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი შეივსონ როგორც ჯანმრთელებმა, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონეებმა და ავადმყოფებმა?***

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ავთანდილ სვიმონიშვილი: „სავალუტო კრიზისმა ახალი საწარმოს მშენებლობის შესაძლებლობა მოგვცა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— ანუ ლარის გაუფასურებაში დადებითიც დაინახეთ და ერთგვარად გამოიყენეთ კიდეც?***

— ბიზნესმენი რომ ხარ, სიძნელეების არ უნდა გეშინოდეს. ჩვენ ყოველთვის ოპტიმისტურად ვუყურებთ ყველაფერს. ვფიქრობთ, რომ პრობლემების გადალახვა მოხდება და ამიტომ არ უნდა გავჩერდეთ. ბიზნესისთვის გაჩერება სიკვდილივითაა. ბიზნესმენი სულ განვითარებაზე უნდა ფიქრობდეს.

***— რატომ იბიარდი და არა ადგილობრივი ქართული ბანკები? იბიარდიდან უფრო დაბალპროცენტიან სესხს იღებთ?***

— ჩვენ დიდი ხანია, იბიარდთან ვთანამშრომლობთ, გარდა ამისა, მათ მიერ მოცემული კრედიტები გრძელვადიანია. ასევე, იმაზე უფრო შეღავათიანია, ვიდრე ქართული ბანკების მიერ გაცემული სესხები.

***— ქართულ ბანკებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ, რამდენად ხშირად მიმართავთ მათ?***

— როდესაც იბიარდთან თანამშრომლობ, უფრო მეტი ვალდებულება გაქვს გარემოს დაცვასთან, სოციალურ საკითხებთან, ამას ყველაფერს გთხოვენ, ქართული ბანკები ამას არ გთხოვენ, პირდაპირ გაძლევენ ფულს, თუმცა, რა თქმა უნდა, გაცილებით, ორჯერ უფრო ძვირად.

***— გარდა „ნაბეღლავის“ ახალი ქარხნისა, სხვა ახალი პროექტის განხორციელებასაც ხომ არ აპირებთ?***

— ნაბეღლავში ქარხნის მშენებლობას რომ დავასრულებთ, შემდეგ ვგეგმავთ გარდაბანში გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობასაც. გვინდა თანამედროვე ტიპის ბოსტნეულის ქარხანა ავაშენოთ, რადგან რეგიონში პოტენციალი დიდია.

2016 წელს დავასრულებთ ნაბეღლავში ქარხნის მშენებლობას და მოდერნიზაციას, 2017 წელს კი გარდაბნის პროექტს დავიწყებთ. ჩვენ გვაქვს 400 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ქარხანაც იქვე აშენდება და პროდუქცია მინდვრიდან პირდაპირ ქარხანაში შევა.



***— რა დაჯდება ეს და ამასაც იბიარდის კრედიტით გეგმავთ?***

— ფინანსებზე ჯერ არ ვფიქრობთ. თუმცა, არ არის პრობლემა სესხის კიდევ აღება, ოღონდ ჯერ ის პროექტი უნდა დავასრულოთ.

***— ბევრი მინერალური წყალი გამოუყენებელია, ანუ გაცემულია ლიცენზიები და მათი გამოყენება არ ხდება. ამ პრობლემაზე ხელისუფლება განსაკუთრებით ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობს. რა არის ამის მიზეზი?***

— ამის მიზეზი პირველ რიგში კონკურენციაა. ბევრი ფირმაა და ფეხის მოკიდება ადვილი არ არის. ძალიან დიდი რესურსია საჭირო, რომ რაღაც წამოიწყო. პატარა ფულით ამას ვერ გააკეთებ. გარდა ამისა, პრობლემაა ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ეს მინერალური წყლები არის მთებში, იქ კი ინფრასტრუქტურა არ არის, გაცილებით ძვირი ჯდება მშენებლობა, ტრანსპორტირება და ასე შემდეგ.

***— ბიზნესგარემოში რას შეცვლიდით ბიზნესის უფრო განსავითარებლად?***

— ყველაზე დიდი პრობლემა მაინც რეალიზაციაა. მთავრობის მიერ ექსპორტის მიმართულებით მეტი ხელშეწყობაა საჭირო. მინერალური წყლები ძირითადად ექსპორტზე უნდა იყოს ორიენტირებული. ადგილობრივი ბაზარი ძალიან მწირია. ადგილობრივ ბიზნესს არ აქვს იმის საშუალება, რომ ექსპორტზე დამოუკიდებლად გავიდეს. დიდი ფულია საჭირო იმისთვის, რომ შეხვიდე ბაზარზე, აითვისო.

დღესაც გვეხმარება სახელმწიფო, მაგალითად იმაში, რომ იმართება ხოლმე გამოფენები და იქ ვიღებთ მონაწილეობას, თუმცა, უფრო მეტი აქტივობა და დახმარებაა საჭირო.

***— კადრების მოძიება თუ გიჭირთ და ზრუნავთ თუ არა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე?***

— ვცდილობთ, რომ კადრები ადგილზე მოვამზადოთ, ბევრი ახალგაზრდა გვყავს ასე მომზადებული, დღეს ისინი მაღალ თანამდებობაზე არიან. ძირითადად მუშახელი გვიჭირს, განსაკუთრებით აგრომიმართულებაში.

ეს ხომ სეზონური სამუშაოებია, მაგალითად, მოსავლის აღების დროს გვჭირდება ხოლმე 500 კაცი, რომელსაც დღეში 25 ლარს გადავუხდით. ბოლო დროს ფერმერობა ბევრმა დაიწყო, გაცილებით მეტი მიწა დამუშავდა, ამიტომ მუშახელზე დიდი მოთხოვნაა.

***— რეგიონების მოსახლეობა მუდმივად იმაზე წუხს, რომ დასაქმების პრობლემაა. თქვენ საპირისპიროს ამბობთ.***

— რას ამბობთ, მუშახელზე მოთხოვნაა და დღეს მათი მოძიება უკვე პრობლემაა. სოფლებიც დაცარიელდა, ყველა ქალაქში წამოვიდა, დარჩენილია მხოლოდ ასაკოვანი ხალხი, მათ კი მუშაობა არ შეუძლიათ. ტრაქტორისტებზე და შემდუღებლებზე დიდი მოთხოვნაა.

***— დღეს არსებული ბიზნესგარემოდან გამომდინარე, დამწყები რომ იყოთ, ახლა ბიზნესს დაიწყებდით?***

— მე რომ ბიზნესი დავიწყე, დაახლოებით 20 წლის წინ, საქართველოში გაცილებით უარესი სიტუაცია იყო. დენი არ იყო და გენერატორზე ვმუშაობდით. საწვავიც არ იყო. მაშინ ყველაფრის პრობლემა იყო. ახლა უკეთესი სიტუაციაა, სულ რომ არაფერი, ინტერნეტია, კომუნიკაციაა. თუმცა, მთავარი მონდომებაა. თუ მონდომებული ხარ, ყველაფერი გამოგივა.

*სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე*

# ზურაბ ჯორბენაძე: „მოსალოდნელია მთავრობის შიგნით გადატრიალება“



გულიკო ბალაძე

**ადვოკატ ზურაბ ჯორბენაძის განცხადებით, ნაციონალები გადატრიალებას რომ გეგმავდნენ, ეს მან წელიწადნახევრის წინ იცოდა. ინფორმაცია ხელისუფლებასაც ჰქონდა, მაგრამ საქმე ჩაიფარცხა.**

– ნაციონალების დროინდელ კუდსა და სოდში ვინც იყო, ახლა სუსშია გადაბარგებული. ამ ძალებმა წელიწადნახევრის წინ მყარი ინფორმაცია მიიღეს, მაგრამ არ გამოიძიეს, – აცხადებს ადვოკატი.

***– რა ინფორმაციაა ასეთი?***

– იყო ინფორმაცია, რომ ნაცმოძრაობის გარკვეული ჯგუფები (სახელებისა და გვარების დასახელებით) ათანხმებდნენ დიდი ფულის შემოსვლის საკითხებს და არეულობის მოწყობას ქვეყანაში.

***– ვისთან ათანხმებდნენ?***

– ადეიშვილთან და სააკაშვილთან. ინფორმაცია ჰქონდათ, დაფინანსება საიდან უნდა წამოსულიყო, ვინ ვის ურიცხავდა ფულს და არასამთავრობოები როგორ იღებდნენ დაფინანსებას სხვადასხვა წყაროებიდან.

***– ახლა ალბათ გამოიძიებენ. გადატრიალების მოწყობის მზადებასთან დაკავშირებით, დაკითხეს გიგა ბოკერია.***

– წელიწადნახევრის წინ დაზუსტებული ინფორმაცია იყო, რას აპირებდა და რა მეთოდებით გეგმავდა ნაციონალური მოძრაობა არეულობის მოწყობას და არ გამოიძიეს. ახლაც, ვინ იცის, გამოიძიებენ თუ არა. როგორც ჩანს, ახლა გამოძიების დაწყება იმიტომ გახდა საჭირო, რომ ხელისუფლებას არჩევნების წინ რაღაც გაუჭირდა. არჩევნებამდე 11 თვეა დარჩენილი.

***– რომ არ გასჭირვებოდა, გამოძიება არ დაიწყებოდა?***

– წელიწადნახევრის წინ დაწყებული გამოძიება უნდა გაგრძელებულიყო.

100%-იანი ინფორმაციაა, რომ ბოკერია, სააკაშვილი, ადეიშვილი და მათი ჯგუფები უკრაინაში სპეცჯგუფებს ამზადებენ. შემდეგ ეს ჯგუფები სპეცდაფინანსებით, ანუ ჯიბეში ჩადებული ფულით მოდიან საქართველოში. აქ აწყობენ ათასნაირ უბედურებას.

***– რას გულისხმობთ?***

– კრიმინალი გაიზარდაო, რომ იძახიან, ვინმე კითხულობს, ვინ ჩადის ამ დანაშაულებს? კრიმინალი გაიზარდა, რადგან მიშას ზონდერები უკრაინაში მზადდებიან და იგზავნებიან საქართველოში სპეცდავალებებით.

***– კრიმინალი გაიზარდა, რადგან მკვლელობები მოხდა.***

– მკვლელობები სხვა საკითხია, მაგრამ კიდევ მოხდება.

***– რატომ?***

– წამებისა და გაუპატიურების ჩამდენი პირები გარეთ რომ დანავარდობენ, ჩვეულებრივ ადამიანებს ამოუვიდათ ყელში და თვითონ აღასრულებენ სამართალს.

***– მთავარი პროკურორის მოადგილემ განაცხადა, რომ მხოლოდ ორი ადამიანი არ არის დასჯილი იმ ჯგუფიდან, რომელიც იმ საშინელებებს ჩადიოდა.***

– ბატონი შოთაძე კარგი იურისტია, კარგად იცის, რას ნიშნავს დასჯა. წამების კადრების შემკვეთი და გადამღები ჯგუფი არ არის დასჯილი. ვისთვისაც ეს კადრები კეთდებოდა, იმ სამსახურების უფროსები არ არიან დასჯილები. არ დაუსჯიათ კუდის ის თანამშრომლები, ვინც ცემას „აპრავებდა“. არ არის დასჯილი პროკურორი, ვინც იცოდა, რომ წამება ხდებოდა და არ იძიებდა.

არ არიან დასჯილები მიხეილ სააკაშვილი (ვისთანაც ეს ფირები მიდიოდა) და ადეიშვილი (ვისი დავალებითაც ეს კეთდებოდა) და მერაბიშვილი (ვის გარეშეც ეს ყველაფერი ვერ მოხერხდებოდა).

ამდენი ადამიანი არ არის დასჯილი. ათასობით ჩანაწერიდან 11 კაცი დაისაჯა. მათგანაც ზოგი გარეთაა, ზოგს პირობითი მისცეს. 2 პირი ზის ციხეში. ეს არის დასჯა?!

***– ამდენი ხალხის დასჯა შესაძლებელი იყო?***

– რა თქმა უნდა. ამას სჭირდებოდა პოლიტიკური ნება. ამ საქმეს სჭირდებოდა წესიერი გამოძიება, რომელსაც ეს ხელისუფლება ვერ შეძლებდა ერთი მარტივი მიზეზის გამო – გამომძიებელი, პროკურორი და პოლიციის უფროსი პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა ამ სისტემურ დანაშაულში. რაიმე გამოსაძიებელი რომ იქნებოდა (გაუპატიურების, წამების, ქონების წართმევის), ისინი თავის თავს ხომ არ დაიჭერდნენ?!

***– რამდენად შესაძლებელია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა დღეს?***

– სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო – სპეცსამსახურები, პროკურატურა, სასამართლო ნაციონალებით არის დაკომპლექტებული. ახლა პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, პოლიტიკური ჯგუფები როგორ გადაჯგუფდებიან იმის მიხედვით, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს.

***– სისხლიანი გადატრიალების მოწყობა შესაძლებელია?***

– მე არ ვამბობ, რომ სისხლიანი გადატრიალების მოწყობაა შესაძლებელი. არ ველოდები, რომ ქვეყანაში თოფით მოხდება გადატრიალება, ან იარაღით ვინმე ვინმეს მოკლავს.

***– აბა, როგორ გადატრიალებას ელოდებით?***

– მე ველოდები მთავრობის შიგნით გადატრიალებას.

***– მთავრობის შიგნით გადატრიალება როგორ მოხდება?***

– მთავრობის შიგნით რესპუბლიკური პარტია იმდენად არის გაძლიერებული, რომ მათ სრულად ხელისუფლებაში მოსასვლელად ხელს უშლის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი.

გადატრიალება შეიძლება მოხდეს რესპუბლიკური პარტიის, ნაციონალური მოძრაობისა და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანებით პრეზიდენტთან ერთად, შემდეგ მათთვის მისაღები პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის მოყვანით. ეს იქნება სახელმწიფო გადატრიალება.

***– მაშინ ის ჯგუფები რაში სჭირდებათ, რომელთაც უკრაინაში ამზადებენ?***

– უკრაინაში მომზადებული ზონდერ ჯგუფები სიტუაციის ასარევად სჭირდებათ. ეს სცენარი რომ განხორციელდეს, ქვეყანაში სიტუაცია უნდა აირიოს.

***– ასე ხავერდოვნად მოხდება სახელმწიფო გადატრიალება?***

– სიტუაციის არევასა და გადატრიალების ინსპირირებას მოხერხება ხომ უნდა. ამის ინსპირირებას ცდილობს რუსთავი 2.

**გადატრიალება შეიძლება მოხდეს რესპუბლიკური პარტიის, ნაციონალური მოძრაობისა და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანებით პრეზიდენტთან ერთად, შემდეგ მათთვის მისაღები პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის მოყვანით**

# „მარგი“ – მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ჯანსაღი საკვები

დასაწყისი მე-6 გვერდზე

– სავსებით მართალი ბრძანდებით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც „მარგის“ პროდუქტები არის რეალური შესაძლებლობა, მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი შეივსონ როგორც ჯანმრთელებმა, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონეებმა და ავადმყოფებმა. ეს დეფიციტი კი თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობას აქვს. ხოლო პაციენტები, რომელთათვისაც უხეში პროდუქტები წინააღმდეგნაჩვენებია, ძალიან ბევრია. მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, მოგახსენებთ, რომ 100 გრამი პური „მარგი“ შეიცავს 8 გრამ მცენარეულ ბოჭკოს, დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ნახევარი კილოგრამი მწვანილი ან კილონახევარი გაუთლელი ვაშლი და ა.შ. როგორც მოგახსენეთ, „მარგის“ ტექნოლოგია ხორბლის ქერქის უნიკალური შემადგენლობის რეალურად გამოყენების შესაძლებლობაა.

***– მსგავსი ტექნოლოგია „მარგამდე“ ცნობილი არ იყო?***

– ჩვენ მიერ დაცული პატენტები სწორედ ამის დადასტურებაა. საპატენტო უწყებები ითვალისწინებს პატენტუნარიანობის სამი კრიტერიუმის უცილობლად შესრულებას: 1. სიახლე, 2. საგამომგონებლო დონე და 3. სამრეწველო გამოყენებადობა.

1. ინოვაცია ორიგინალური უნდა იყოს და არ არსებობდეს პროტოტიპი. ანალოგის არსებობის შემთხვევაში, მინიშნებაც არ უნდა იყოს საკითხის მსგავსად გადაწყვეტაზე.

2. ინოვაცია მნიშვნელოვანი უნდა იყოს მეცნიერებისა და კაცობრიობის განვითარებისთვის.

3. ინოვაციურ ტექნოლოგიაში აღწერილი პროცესი არ უნდა საჭიროებდეს დამატებით კვლევებს მისი პრაქტიკული გამოყენებისთვის.

ჩვენ პატენტები დავიცავით საქართველოში, შემდეგ გამოვაქვეყნეთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში (WIPO) და შემდეგ – ხუთ ქვეყანაში. ყველგან ექსპერტები წლების განმავლობაში იკვლევდნენ, შეესაბამებოდა თუ არა ჩვენი ტექნოლოგია ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს. პარალელურად ვაქვეყნებდით სამეცნიერო პუბლიკაციებს, მოვიპოვეთ და განვახორციელეთ რამდენიმე გრანტი.

***– როგორც ჩანს, „მარგს“ უპირატესობა აქვს საქართველოში არსებულ მცენარეული ბოჭკოებით მდიდარ სხვა პროდუქტებთან?***

– და არამარტო საქართველოში. ამის დასტურია ის, რომ ჩვენი ტექნოლოგია დაპატენტებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში. ეს ქვეყნები მარცვლეულის ყველაზე დიდი მწარმოებლებია, მაგრამ ყველგან მოსახლეობის კვების რაციონში აღინიშნება მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი. ამ დეფიციტის შევსება რომ კვების რაციონში მარცვლეულის ქერქის (ქატოს) პირდაპირი შეტანით შეიძლებოდეს, დეფიციტი, ბუნებრივია, არ იქნებოდა. ამ ქვეყნებში მცენარეული ბოჭკოებით მდიდარ ყველა პროდუქტზე, რომელიც დაუმუშავებელი ან არასრულად დამუშავებული ქერქით (ქატოთია) გამდიდრებული, მითითებულია დოზა, გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგჩვენებები. დოზა, გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგჩვენებები მითითებულია ყველა სამეცნიერო თუ პოპულარულ პუბლიკაციაში რომელიც პროფესიონალის მიერაა შედგენილი.

„მარგის“ უპირატესობა ისაა, რომ მას არ აქვს გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგჩვენებები. „მარგი“ შეიძლება შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით მიიღონ როგორც ჯანმრთელებმა, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონეებმა და ავადმყოფებმა.

სწორედ ამიტომაა „მარგი“ – ჯანსაღი საკვები ყველასთვის.

სწორედ ამიტომაა „მარგის“ გამოყენებით რეალური მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსება ყოველგვარი რისკისა და ზიანის გარეშე.

„მარგი“ – მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი ჯანსაღი საკვებია.

პური „მარგი“ – 100 გრამში 8 გრამი მცენარეული ბოჭკო.

ქართული მიუსლი „მარგი“ -100 გრამში 19 გრამი მცენარეული ბოჭკო.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით – თითოეულმა ადამიანმა დღე-ღამეში უნდა მიიღოს 25-40გრ მცენარეული ბოჭკო, რაც დაახლოებით უდრის წონა კილოგრამებში გამრავლებული 0.4-ზე. ბავშვებმა უნდა მიიღონ ასაკს პლუს 5გრ მცენარეული ბოჭკო დღეღამეში. „მარგის გამოყენებით ეს სავსებით შესაძლებელია.

***– რას იტყვით ქართულ ბაზარზე არსებულ ქატოთი გამდიდრებულ და სამკურნალო საკვებ პროდუქტებზე?***

– მე ექიმი ვარ და მივესალმები ნებისმიერ მცდელობას გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ქვეყანაში, მაგრამ ვალდებული ვარ ნებისმიერს მოვუწოდო ზომიერების შენარჩუნებისკენ, რადგანაც სწორედ ზომიერების დარღვევამ გამოიწვია მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. სწორედ ზომიერებას ითვალისწინებს მედიცინის მამის ჰიპოკრატეს პოსტულატები: „არ ავნო“, „დაეხმარე და არ ავნო“.

რაც შეეხება საკვებში, მით უმეტეს პურში, სამკურნალო ნივთიერებების, თუნდაც სამკურნალო მცენარეების შერევას, ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რადგანაც ამ შემთხვევაში იგი საკვები კი არა, წამალია, რომელსაც უნდა ახლდეს ანოტაცია, სადაც მითითებული უნდა იყოს ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები და გვერდითი ეფექტები.

ექიმის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ახალი პროდუქტი ან დიეტოთერაპიის ახალი მეთოდი, თუ ის არ ეყრდნობა პატენტებს და პუბლიკაციებს, მხოლოდ კარგი იდეაა და მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. ხოლო თუ ასეთი იდეების და მიზნის ავტორი არაექიმია, მისი დაჯერება, სულ მცირე, არალოგიკურია.

***– მაშ რითაა განპირობებული მარგის ასეთი პრევენციული და სამკურნალო ეფექტი?***

– მთელი ინტერვიუს განმავლობაში ვცდილობ მკითხველს ეს განვუმარტო.

დღეისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებების, ე.წ. ცივილიზაცის თანმხლები დაავადებების განვითარების და გახშირების ერთ-ერთი მიზეზი არასწორი კვებაა.

არასწორ კვებაში იგულისხმება არაბუნებრივი, რაფინირებული, მაღალკალორიული საკვების სიჭარბე და მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი, რაც იწვევს საჭმლის მონელების და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებს და ამ დაავადებათა განვითარებას და პროგრესირებას.

მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსება და კალორაჟის ოპტიმიზაცია, საჭმლის მონელების და ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი მექანიზმების ჩართვით (გააქტიურებით), იწვევს ამ დაავადებათა პრევენციას და მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

„მარგი“ მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი, დაბალკალორიული, ჯანსაღი საკვებია, რომლითაც შესაძლებელია აღმოიფხვრას მცენარეული ბოჭკოების დეფიციტი და მოხდეს კალორაჟის ოპტიმიზაცია, რაც ჯანმრთელობის შენარჩუნების, დაავადებათა პრევენციის და მკურნალობის საფუძველია. ეს მექანიზმები ცნობილი და შესწავლილია.

„მარგის“ ეფექტი, მაქსიმალურად გამოვლენილი ჯანსაღი კვების ეფექტია.

სწორედ ამიტომაა „მარგი“ – ჯანსაღი საკვები ყველასთვის:

ჯანმრთელისთვის – ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად; დაავადების მაღალი რისკის მქონესთვის – რისკის შესამცირებლად; დაავადებულთათვის – მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

**„მარგის“ ეფექტი მაქსიმალურად გამოვლენილი ჯანსაღი კვების ეფექტია**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# მარიუპოლში არჩევნები ჩაიშალა



25 ოქტომბერს უკრაინაში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა მარიუპოლში, სადაც ოპოზიციური ბლოკი დიდ იმედებს ამყარებდა.

აქ კვლავ ფუნქციონირებდა ქალაქის საბჭო, რომელიც იანუკოვიჩის დროს აირჩა. ოპოზიციონერებიც გამარჯვებას მოსყიდვისა და გაყალბების გზით აპირებდნენ. ხელისუფლებამ ამას ვერაფერი დაუპირისპირა. სამაგიეროდ, მარიუპოლის მოსახლეობამ პროტესტი გამოთქვა:

– როგორ, ამისთვის ვიბრძოდით, რომ იანუკოვიჩის ხროვა დაბრუნებულიყო?!

გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია ცნობამ, თითქოს მარიუპოლის არჩევნები გაყიდულია, რომ ქალაქის სტამბაში დაბეჭდილია ათასობით ყალბი ბიულეტენი და ოპოზიციური ბლოკის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

აღშფოთებული მოსახლეობა მარიუპოლის ქუჩებში გამოვიდა:

– არა რევანშს! თუ ხელისუფლება დამნაშავეებს კვლავაც ხელს დააფარებს, მათ ლინჩის წესით გავუსწორდებით!

შენობაში, სადაც საარჩევნო კომისია იყო განთავსებული, უამრავი ყალბი ბიულეტენი აღმოჩნდა. არჩევნები ჩაიშალა.

– მარიუპოლელებმა შესაშური პატრიოტიზმი, დარაზმულობა და ერთიანობა გამოიჩინეს, – განაცხადა დონეცკის გუბერნატორმა ჟებრივსკიმ.

უკრაინის სხვა რეგიონებშიც არჩევნები ვნებათაღელვის ფონზე ჩატარდა.

კიევსა და ლვოვში პატრიოტული ძალები დომინირებენ, დნეპროპეტროვსკში პარტია უკროპი ლიდერობს. ოპოზიციურმა ბლოკმა მოიგო არჩევნები ზაპოროჟიეში, ნიკოლაევში, თუმცა საბოლოო მონაცემები ჯერ არ არის ცნობილი.

– ეს ყველაზე სკანდალური და ბინძური არჩევნები იყო, – ასეთია 112-ე არხის კომენტარი.

საარჩევნო უბნებზე ხშირი იყო კარუსელები, ამომრჩეველთა მოსყიდვა და ა.შ. როგორც ჩანს, არჩევნების შემდეგ არაერთი სასამართლო გაიმართება.

## აშშ–ს სპეცრაზმმა მძევლები გაათავისუფლა



აშშ-ს სპეცრაზმმა ქურთებთან ერთად ერაყის ტერიტორიაზე მძევლების გამოსახსნელი ოპერაცია ჩაატარა.

შედეგად, ისლამისტი ტერორისტების ტყვეობიდან 60 ადამიანი გამოიხსნეს.

არც ამერიკელებს და არც მძევლებს შორის არავინ დაზარალებულა.

## პოლონეთში კონსერვატორები ლიდერობენ



პოლონეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.

ლიდერობს კონსერვატორული პარტია უფლება და სამართლიანობა. მან ხმების 31 პროცენტი დააგროვა.

მეორე ადგილზე გასულმა პრემიერ ევა კოპაჩის პარტიამ ხმების მხოლოდ 22 პროცენტი მიიღო.

ასეთ პირობებში კონსერვატორები მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებას შეძლებენ.

## რუსეთსა და უკრაინას შორის საჰაერო მიმოსვლა შეჩერდა



25 ოქტომბერს ძალაში შევიდა ბრძანება, რომლის თანახმადაც, რუსეთსა და უკრაინას შორის საჰაერო მიმოსვლა შეჩერებულია. რუსეთის პრემიერმა მედვედევმა ამასთან დაკავშირებით აღშფოთება უკვე გამოთქვა:

– ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ვერანაირ ჩარჩოებში ვერ ჯდება! – თქვა მედვედევმა.

რუსი ექსპერტების პროგნოზი, რომ საჰაერო მიმოსვლის შეჩერება უკრაინელთა მნიშვნელოვან ნაწილს ქუჩაში გამოიყვანდა, არ გამართლდა. უკრაინელთა უმრავლესობა თვლის, რომ ეს მძიმე, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია.

– რუსეთს ჩვენი დაპყრობა სურს, ჩვენც იძულებულნი ვართ, თავი დავიცვათ, – განუცხადა მე-5 არხის კორესპონდენტს ოდესის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

## ქსენია სობჩაკი რუსეთზე: „დემოკრატია ან დაშლა“

ცნობილმა ტელეწამყვანმა ქსენია სობჩაკმა ტელეარხ „დოჟდის“ ეთერიდან განაცხადა, რომ რუსეთის მომავალს ვერ ხედავს:

– ჩემს ქვეყანას ორი გზა დარჩა: ან დემოკრატია, ან დაშლა, – თქვა სობჩაკმა.

მისი აზრით, ცნება დემოკრატია რუსების უმრავლესობისთვის უცხო აღმოჩნდა. შემთხვევითი არაა, რომ რუსეთს დემოკრატიის პირობებში არასოდეს უცხოვრია.

– რუსი თავისი მენტალიტეტით მონაა. ამიტომ ის კეთილ მეფეს ეძებს. თუმცა ზოგჯერ ეს მონა აიწყვეტს ხოლმე! ასე მოხდა რიაზინის, პუგაჩოვის, ბოლოტნიკოვისა თუ ბულავინის დროს, ასე მოხდა 1917 წლის ოქტომბერში, როცა ამბოხებულმა შარიკოვებმა უდღეური რუსული დემოკრატია დაასამარეს! – თქვა სობჩაკმა.

ტელეწამყვანმა სინანულით განაცხადა, რომ მეორე ვარიანტი, ანუ რუსეთის დაშლა მას დღევანდელ პირობებში უფრო რეალურად მიაჩნია.

– პუტინის წყალობით, ქვეყანა ავანტიურებში გაეხვია. შედეგი უკვე სახეზეა: ფასებმა 50 პროცენტით აიწია, ცხოვრების დონე ეცემა. თუკი ასე გაგრძელდა, აფეთქება გარდაუვალია! მეორე ოქტომბრის რევოლუციას კი რუსეთი ვეღარ გადაიტანს, – თქვა სობჩაკმა.



მომზადა ნიკა თევზაძემ

*დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.*

*თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.*

*ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.*

**ლამარა თოდუა:**

**● ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.**

**● ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.**

**● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.**

● ● ●

**ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.**

**მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166; №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82**

## განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

### მკურნალობა

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

### ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# თბილისური დერბი ლოკომოტივმა მოიგო

**ლოკომოტივი-საბურთალო 3:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 უბილავა (12), 2:0 ართმელიძე (25), 3:0 ბენაშვილი (49), 3:1 ალთუნაშვილი (57), 3:2 გოშთელიანი (78)

**ლოკომოტივი:** კუპატაძე, ჩიტეიშვილი, გეთიაშვილი, ხიდეშელი, უბილავა, ჩიხლაძე (არველაძე 58, თექთურმანიძე 73), ართმელაძე (კიკნაძე ), ქიქავა, ქანთარია, სულთანიშვილი, ბენაშვილი

**საბურთალო:** ქურდაძე, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, ლაკვეხელიანი, ბიძინაშვილი (ფანცულაია), ალთუნაშვილი, გვარაძე (გოშთელიანი), ხარაიშვილი, ხორხელი (რუხაძე ), საბანაძე



უმაღლესი ლიგის მეცხრე ტურის დასკვნით შეხვედრაში მიხეილ მესხზე ლოკომოტივმა საბურთალოს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. პირველი ტაიმი რკინიგზელების სრული უპირატესობით წარიმართა და შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით შევიდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის 55-ე წუთიდან მოყოლებული, საბურთალომ შთამბეჭდავი ფეხბურთი აჩვენა – მეტოქეს თავისი თამაში მოახვია თავს, მაგრამ, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მასპინძლებმა მატჩისთვის სამურკასოვი და დიასამიძე მოისაკლისეს. სხვადასხვა მიზეზების გამო საბურთალოს ვერ დაეხმარნენ დვალი, თოთაძე, იაშვილი და სოფრომაძე.

რკინიგზელები მე-13 წუთზე უბილავამ დააწინაურა, ხოლო ტაიმის შუაში კი სხვაობა ორ ბურთამდე გაიზარდა – მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთით ართმელაძემ თავური დარტყმით მეორედ შეარხია საბურთალოს კარის ბადე.

მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ, საბურთალოს სამწვრთნელო შტაბმა ცვლილებები განახორციელა. ბიძინაშვილისა და გვარაძის ნაცვლად, მოედანზე გოშთელიანი და ფანცულაია ჩაერთვნენ, მაგრამ პირველი ნახევარი 2:0 დასრულდა.

ტაიმი ახალი განახლებული იყო, რომ ლოკომოტივმა სხვაობა სოლიდური გახადა და თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა – 49-ე წუთზე გატანილი გოლით თავი ბენაშვილმა გამოიჩინა.

ამის შემდეგ მოედანზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საბურთალო მატჩის სადავეებს სრულად დაეუფლა და მებრძოლი ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინა.

58-ე წუთზე შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით სანდრო ალთუნაშვილმა ლაზარე კუპატაძეს აუღებელი დაურტყა და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა. ამ ეპიზოდში სტუმრებმა ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს და იყო პერიოდი, როდესაც მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების შანსები ჯერ ხარაიშვილს, შემდეგ კი მარგველაშვილს ჰქონდა, მაგრამ გიორგის დარტყმული მეკარემ მოიგერია, გაგის თავური კი მცირედით ასცდა კარს.

77-ე წუთზე საბურთალოელებმა გოლის გატანა მაინც მოახერხეს – ხარაიშვილის დარტყმულის შემდეგ, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა, გადმოვარდნილზე კი ყველას გოშთელიანმა დაასწრო და უმაღლეს ლიგაში თავისი მორიგი გოლი გაიტანა.

რამდენიმე წუთში სტუმრებს უკვე ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ – ფანცულაიამ მარცხენა ფლანგზე სისწრაფეში დაჩაგრა მეტოქე და გოშთელიანი მოძებნა, რომლის დარტყმული ბურთიც ძელმა მოიგერია, გადმოვარდნილზე კი საბანაძე ურტყამდა, მაგრამ კვლავ ძელი დაეხმარება მასპინძლებს.

მიუხედავად ბევრი მცდელობისა, საბურთალოელებმა მატჩის გადარჩენა ვეღარ შეძლეს, არადა ამის საშუალება მათ ნამდვილად ჰქონდათ.

დედაქალაქური დერბი ლოკომოტივის გამარჯვებით დასრულდა – 3:2.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 9 | 7 | 1 | 1 | 17-6 | 22 |
| 2.დინამო (თბ) | 9 | 7 | 1 | 1 | 23-7 | 22 |
| 3.სამტრედია | 9 | 6 | 1 | 2 | 25-13 | 19 |
| 4.სიონი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-4 | 17 |
| 5.ცხინვალი | 9 | 5 | 1 | 3 | 22-15 | 16 |
| 6.შუქურა | 9 | 5 | 1 | 3 | 11-8 | 16 |
| 7.ჩიხურა | 9 | 4 | 2 | 3 | 13-6 | 14 |
| 8.საბურთალო | 9 | 4 | 1 | 4 | 12-15 | 13 |
| 9.დინამო (ბთ) | 9 | 3 | 4 | 2 | 15-8 | 13 |
| 10.კოლხეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-11 | 10 |
| 11.ტორპედო | 9 | 2 | 3 | 4 | 10-14 | 9 |
| 12.გურია | 9 | 2 | 3 | 4 | 8-14 | 9 |
| 13.საპოვნელა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-18 | 8 |
| 14.ლოკომოტივი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-17 | 7 |
| 15.მერანი | 9 | 1 | 0 | 8 | 7-25 | 3 |
| 16.ზუგდიდი | 8 | 0 | 2 | 6 | 8-25 | 2 |

# ბექა ღვინიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია



საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრი, 20 წლის ბექა ღვინიაშვილი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ღვინიაშვილმა არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის ზედიზედ 5 შეხვედრა მოიგო და ხუთივე ორთაბრძოლაში მეტოქე იპონით დაამარცხა.

ღვინიაშვილმა ერთმანეთის მიყოლებით სძლია კორეელ, ირანელ, პოლონელ და გერმანელ სპორტსმენებს, ფინალში კი მან ესპანეთის სახელით მოჭიდავე ნიკოლოზ შერაზადიშვილი 43 წამში შებოჭა.

ისტორიული მედალი აიღეთ ქალებში – მარიამ ჯანაშვილი ვერცხლის პრიზიორი გახდა. ჯანაშვილმა ფინალამდე ოთხ მეტოქეს აჯობა: ავსტრალიელ ტინკა ისტონს, ბელგიელ მირიამ ბლავიერს, მექსიკელ ჯენიფერ კრუზსა და კიდევ ერთი ბრიტანელ ჩელსი ჯილისს. სამწუხაროდ, ფინალში ჯანაშვილი ვერაფერს გახდა კოსოვოელ დისტრია კრასნიჩთან.

ერთი ნაბიჯი დააკლდა ოქრომდე ევროპის ჩემპიონ თამაზ კირაკოზაშვილს, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა გაფრთხილებებით წააგო სამხრეთკორეელი ჰეონჩეოლ კანგთან.

ფინალამდე კირაკოზაშვილმა ოთხი მეტოქე ჩამოიშორა. შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაერთო და პაკისტანელ ნადეემ აკრამს წუთსა და 22 წამში მოუმთავრა საქმე. თურქ მურატ ბეკტაშს ვაზარით გასცდა. რუსეთის ნაკრების წევრი ურუსხან ბეკ ბალაევი და აზერბაიჯანელი ჰუსეინ რაჰიმლი კი იპონ-იპონ დაამარცხა.

# საქართველოს თასი ხელბურთში ბათუმელებმა მოიპოვეს

**სტუ – ბათუმი 19:20**

საქართველოს თასი ხელბურთში შავი ზღვისპირეთში გაემგზავრა. ფინალში ბათუმელებმა 20:19 დაამარცხეს ქვეყნის ჩემპიონი, ტექნიკური უნივერსიტეტი.

პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 9:6 იყო ბათუმელთა სასარგებლოდ. ასეთი გოლმწირი ანგარიში, შესაძლოა იმის ბრალი იყო, რომ ფინალს გუნდები უჩვეულო გარემოში, სპორტის სასახლეში, დიდ სივრცეში თამაშობდნენ, ამას დაუმატეთ გადამწყვეტი მატჩის მღელვარება და ის, რომ მწვრთნელებს მოწინააღმდეგე კარგად ჰყავდათ შესწავლილი და დაცვა იმის მიხედვით დააწყვეს, რომ მეტოქის ძლიერი მხარეები გაენეიტრალებინათ.

მეორე ნახევარში სტუ-მ დიდი ბრძოლა გამართა და რამდენჯერმე დაწინაურდა კიდეც, თუმცა, როდესაც ბოლო წუთი დაიწყო, ბათუმი 20:18 იგებდა.

თამაში მაინც ბოლო წამამდე დაძაბული გამოდგა – სტუ-ს საუკეთესო ბომბარდირმა ორჯონიკიძემ დასრულებამდე 18 წამით ადრე თავისი მეცხრე გოლი გაიტანა, ბათუმი კი სწრაფ შეტევაში წავიდა, ბურთი დაკარგა და მეტოქეს ანგარიშის გასათანაბრებლად 6 წამი დაუტოვა. დროის ამოწურვის შემდეგ ორჯონიკიძემ 11 მეტრიდან თავისუფალიც დაარტყა, მაგრამ, ცხადია, ცოცხალ კედელს ვერ ააცილა.

ბათუმის სახელბურთო კლუბმა, რომელმაც 2013 და 2014 წლებში ორჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები, პირველი ტიტული მოიგო.

ახლა საქმეში უკვე ეროვნული ნაკრები ერთვება. ახალმა მწვრთნელმა ლევან გელაშვილმა მოთამაშეები შეკრებაზე გადაიყვანა, რომელსაც გლდანის აკადემიაში გადის, ხოლო ოქტომბრის ბოლოდან გუნდს ლეგიონერები დაემატებიან.

4 ნოემბერს ნაკრები მიემგზავრება თელ ავივში, მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატის კვალიფიკაციის სათამაშოდ ისრაელის, პორტუგალიისა და ესტონეთის წინააღმდეგ. დასკვნით ეტაპზე, პლეიოფში, მხოლოდ ერთი გუნდი გადის.

# შედეგები

## ფეხბურთი

### 25 ოქტომბერი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ნიუკასლი ............... 3:0
ბორნმუთი-ტოტენჰემი .................. 1:5
მანჩესტერი-სიტი ........................... 0:0
ლივერპული-საუთჰემპტონი .......... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 7 | 1 | 2 | 24-8 | 22 |
| 2.არსენალი | 10 | 7 | 1 | 2 | 18-8 | 22 |
| 3.ვესტ ჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 22-13 | 20 |
| 4.მანჩესტერი | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| 5.ლესტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 20-17 | 19 |
| 6.ტოტენჰემი | 10 | 4 | 5 | 1 | 16-8 | 17 |
| 7.კრ.პალასი | 10 | 5 | 0 | 5 | 12-11 | 15 |
| 8.საუთჰემპტონი | 10 | 3 | 5 | 2 | 16-13 | 14 |
| 9.ლივერპული | 10 | 3 | 5 | 2 | 9-11 | 14 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 10 | 4 | 2 | 4 | 8-11 | 14 |
| 11.ევერტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 13-13 | 13 |
| 12.სუონსი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-12 | 13 |
| 13.უოტფორდი | 10 | 3 | 4 | 3 | 8-10 | 13 |
| 14.სტოკი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-12 | 12 |
| 15.ჩელსი | 10 | 3 | 2 | 5 | 15-19 | 11 |
| 16.ნორვიჩი | 10 | 2 | 3 | 5 | 14-21 | 9 |
| 17.ბორნმუთი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-22 | 8 |
| 18.სანდერლენდი | 10 | 1 | 3 | 6 | 11-19 | 6 |
| 19.ნიუკასლი | 10 | 1 | 3 | 6 | 12-22 | 6 |
| 20.ასტონ ვილა | 10 | 1 | 1 | 8 | 9-17 | 4 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა–დეპორტივო ...................... 2:0
ლევანტე-სოსიედადი ...................... 0:4
ლას პალმასი-ვილიარეალი ............ 0:0
ბარსელონა-ეიბარი ........................ 3:1
ატლეტიკო–ვალენსია ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 9 | 6 | 3 | 0 | 21-3 | 21 |
| 2.ბარსელონა | 9 | 7 | 0 | 2 | 20-12 | 21 |
| 3.ატლეტიკო | 9 | 6 | 1 | 2 | 14-5 | 19 |
| 4.სელტა | 9 | 5 | 3 | 1 | 18-11 | 18 |
| 5.ვილიარეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-7 | 17 |
| 6.დეპორტივო | 9 | 3 | 4 | 2 | 14-11 | 13 |
| 7.ეიბარი | 9 | 3 | 4 | 2 | 12-10 | 13 |
| 8.სევილია | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| 9.ვალენსია | 9 | 3 | 3 | 3 | 8-7 | 12 |
| 10.ბეტისი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-13 | 12 |
| 11.ესპანიოლი | 9 | 4 | 0 | 5 | 10-20 | 12 |
| 12.ხეტაფე | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 13.რაიო | 9 | 3 | 1 | 5 | 11-17 | 10 |
| 14.სოსიედადი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-9 | 9 |
| 15.ხიხონი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 16.მალაგა | 9 | 2 | 3 | 4 | 5-7 | 9 |
| 17.ბილბაო | 8 | 2 | 2 | 4 | 10-12 | 8 |
| 18.ლას პალმასი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 19.გრანადა | 9 | 1 | 3 | 5 | 9-17 | 6 |
| 20.ლევანტე | 9 | 1 | 3 | 5 | 6-19 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალიორკა-ალმერია 1:0
ალბასეტე-ლუგო 2:0
ნუმანსია-ხიმნასტიკი 1:1
პონფერადინა-ოვიედო 4:2
ვალიადოლიდი-მირანდესი 2:1
ტენერიფე-ოსასუნა 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-აუგსბურგი ............... 5:1
გლადბახი-შალკე ........................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 10 | 0 | 0 | 33-4 | 30 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 7 | 2 | 1 | 29-12 | 23 |
| 3.შალკე | 10 | 6 | 1 | 3 | 13-12 | 19 |
| 4.ვოლფსბურგი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-12 | 18 |
| 5.ჰერტა | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 6.ლევერკუზენი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-12 | 17 |
| 7.გლადბახი | 10 | 5 | 0 | 5 | 19-17 | 15 |
| 8.ინგოლშტადტი | 10 | 4 | 2 | 4 | 6-8 | 14 |
| 9.კიოლნი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-17 | 14 |
| 10.ჰამბურგი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-13 | 14 |
| 11.დარმშტადტი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-13 | 13 |
| 12.აინტრახტი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-17 | 12 |
| 13.მაინცი | 10 | 4 | 0 | 6 | 13-16 | 12 |
| 14.ვერდერი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 15.ჰანოვერი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-18 | 8 |
| 16.შტუტგარტი | 10 | 2 | 1 | 7 | 15-23 | 7 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 10 | 1 | 3 | 6 | 12-19 | 6 |
| 18.აუგსბურგი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-20 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-ზანდჰაუზენი ................... 0:0
ბრაუნშვაიგი-ჰაიდენჰაიმი ............ 1:0
ზ.პაული-ფრაიბურგი ..................... 1:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ვერონა ........................ 4:1
მილანი-სასუოლო .......................... 2:1
იუვენტუსი-ატალანტა ................... 2:0
უდინეზე-ფროსინონე ..................... 1:0
ფიორენტინა-რომა ........................ 1:2
ლაციო-ტორინო ............................. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 9 | 6 | 2 | 1 | 22-11 | 20 |
| 2.ნაპოლი | 9 | 5 | 3 | 1 | 19-8 | 18 |
| 3.ფიორენტინა | 9 | 6 | 0 | 3 | 16-8 | 18 |
| 4.ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 9-7 | 18 |
| 5.ლაციო | 9 | 6 | 0 | 3 | 14-13 | 18 |
| 6.სასუოლო | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 7.სამპდორია | 9 | 4 | 2 | 3 | 17-13 | 14 |
| 8.ტორინო | 9 | 4 | 2 | 3 | 13-12 | 14 |
| 9.ატალანტა | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 14 |
| 10.მილანი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-15 | 13 |
| 11.კიევო | 9 | 3 | 3 | 3 | 13-9 | 12 |
| 12.იუვენტუსი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-8 | 12 |
| 13.პალერმო | 9 | 3 | 2 | 4 | 11-13 | 11 |
| 14.უდინეზე | 9 | 3 | 2 | 4 | 9-11 | 11 |
| 15.ემპოლი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-14 | 10 |
| 16.ჯენოა | 9 | 3 | 1 | 5 | 7-11 | 10 |
| 17.ფროსინონე | 9 | 2 | 1 | 6 | 6-11 | 7 |
| 18.ბოლონია | 9 | 2 | 0 | 7 | 6-14 | 6 |
| 19.ვერონა | 9 | 0 | 5 | 4 | 8-15 | 5 |
| 20.კარპი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-21 | 5 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-მონაკო ............................. 0:1
ბორდო-ტრუა ............................... 1:0
ლილი-მარსელი ............................ 1:2
პსჟ-სტ.ეტიენი .............................. 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 9 | 2 | 0 | 25-6 | 29 |
| 2.ანჟე | 11 | 6 | 4 | 1 | 12-6 | 22 |
| 3.კაენი | 11 | 7 | 0 | 4 | 12-12 | 21 |
| 4.ლიონი | 11 | 5 | 4 | 2 | 15-7 | 19 |
| 5.სტ.ეტიენი | 11 | 6 | 1 | 4 | 14-14 | 19 |
| 6.ნიცა | 10 | 5 | 2 | 3 | 25-15 | 17 |
| 7.რენი | 11 | 4 | 5 | 2 | 15-13 | 17 |
| 8.მონაკო | 11 | 4 | 5 | 2 | 15-15 | 17 |
| 9.ლორიანი | 11 | 4 | 4 | 3 | 16-15 | 16 |
| 10.ნანტი | 10 | 5 | 1 | 4 | 9-10 | 16 |
| 11.რეიმსი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-9 | 15 |
| 12.გენგამი | 11 | 4 | 3 | 4 | 10-13 | 15 |
| 13.ბორდო | 11 | 3 | 5 | 3 | 14-16 | 14 |
| 14.მარსელი | 11 | 3 | 3 | 5 | 17-13 | 12 |
| 15.ლილი | 11 | 2 | 5 | 4 | 6-7 | 11 |
| 16.ბასტია | 11 | 3 | 1 | 7 | 12-18 | 10 |
| 17.მონპელიე | 11 | 2 | 2 | 7 | 8-14 | 8 |
| 18.ტულუზა | 11 | 1 | 5 | 5 | 11-20 | 8 |
| 19.გაზელეკი | 11 | 1 | 3 | 7 | 7-16 | 6 |
| 20.ტრუა | 11 | 0 | 4 | 7 | 5-20 | 4 |

**ჰოლანდია.**

**ეროვდივიზიონი**

კამბური-დენ ჰააგი ....................... 1:1
ნაიმეგენი-გრონინგენი .................. 1:1
ვიტესი-აიაქსი ............................... 1:3

***ვიტესის გოლი ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა***

ფეინოორდი-ალკმაარი ................. 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

აროუკა-ტონდელა ......................... 1:1
მორეირენსე-სეტუბალი ................. 0:2
ბენფიკა-სპორტინგი ...................... 0:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-სპარტაკი .......................... 2:3
კრასნოდარი-რუბინი ..................... 2:1
ტერეკი-ცსკა .................................. 0:0

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

სელტიკი-დ.იუნაიტედი ................. 5:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-გრასჰოპერსი ...................... 3:2
თუნი-ლუგანო ............................... 2:1
ბაზელი-იანგ ბოიზი ...................... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-აუსტრია .......................... 1:2

**ბელგია. პრო ლიგა**

ანდერლეხტი-ბრიუგე .................... 3:1
შარლერუა-სტანდარდი .................. 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი .......... 1:2
იანინა-ასტერასი .......................... 1:2
პანიონიოსი-ვერია ........................ 0:1
პანთრათიკოსი-ქსანთი .................. 0:0
პაოკი-პანათინაიკოსი ................... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბასაკშეჰირი-ქონია ....................... 4:0
ფენერბახჩე-გალათასარაი ............ 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბრნო-პლზენი ................................ 1:0
იიჰლავა-ლიბერეცი ...................... 1:1
სპარტა-ბოჰემიანსი 1905 .............. 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ტერმალიცა-ლეხია ........................ 0:1
ლეგია-ლეხი .................................. 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ოლბორგი ............ 3:0
სონდერიისკე-კოპენჰაგენი ........... 1:2
ბრონდბიუ-მიდტიულანდი ............ 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-მალმიო ........................... 0:1
სუნდსვალდი-ჰელსინბორგი .......... 2:1
ჰაკენი-ელფსბორგი ....................... 5:2
ნორჩიოპინგი-ჰალმშტადი ............. 3:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-მიოლდე ....................... 1:2
ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი ..... 0:3
ოდ გრელანდი-სანდერფიორდი .... 4:3
სტრომგოდსეტი-რუსენბორგი ...... 3:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიფკი-ინტერი .............................. 2:0
კტპ-ილვესი .................................. 1:2
კუპსი-ჰიკი ................................... 0:1
ლახტი-როვანიემი ........................ 1:4
მარიეჰამნი-ვპს ............................ 2:0
სჯკ-იარო ..................................... 2:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ფლორიდაში 300 დათვი მოკლეს




ამერიკის ფლორიდის შტატში მურა დათვების პოპულაციის კონტროლის პროგრამის ფარგლებში 24 და 25 ოქტომბერს 320 დათვი იქნა მოკლული.

სულ მონადირეებზე ოთხი ათასამდე ნებართვა იქნა გაცემული, რომლებმაც ცხოველების დახოცვაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. მათ შორის იყო 16 წლის მოზარდიც, რომელმაც განაცხადა, რომ 80 კილოგრამიანი დათვის მოკვლით თავისი ოცნება აისრულა.

შტატის ხელისუფლების მონაცემებით, 40 წლის განმავლობაში ფლორიდაში დათვების რაოდენობა რამდენიმე ასეულიდან 3,5 ათასამდე გაიზარდა.

– ბიოლოგიური პერსპექტივის თვალსაზრისით, ეს ციფრები შეშფოთების საფუძველს არ იძლევა, ჩვენ შტატში დათვების დიდი პოპულაციაა, – განაცხადა თევზის რეწვისა და ნადირობის საკითხების ფლორიდის კომისიის წარმომადგენელმა ტომას იზონმა. მან ასევე აღნიშნა, რომ გარეული ცხოველების რაოდენობის ზრდა საფრთხეს უქმნის ადამიანებს.

დათვებზე ნადირობის მოწინააღმდეგეებმა თავის მხრივ განაცხადეს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ შტატის ხელისუფლება ნაგვის პრობლემის მოგვარებით დაინტერესდებოდა, რომლის გამოც დათვები დასახლებულ პუნქტებში შედიან. როგორც წესი, დათვები ასეთ ადგილებში ადვილად მოიპოვებენ სასუსნავს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე დასახლებულ პუნქტებში დათვების თავდასხმის შედეგად ფლორიდის ოთხი მცხოვრები დაზარალდა.

# ქალებს შიშვლად სიარული აეკრძალათ



ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ ფორტ-კოლინსში ქალებს საზოგადოებრივ ადგილებში შიშვლად სიარულის უფლება არ მისცეს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კენჭი უყარა კანონის ცვლილებას, რომელიც „სახალხო სიშიშვლეს" შეეხებოდა, მაგრამ კანონი კვლავინდებურად უკრძალავს ქალებს პარკებსა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მკერდის გაშიშვლებას.

გამონაკლისია მხოლოდ ჩვილი ბავშვის გამოკვება და სამედიცინო დახმარების გაწევა. გარდა ამისა, ქალებს შეეძლებათ, შიშვლებმა იარონ ისეთ ადგილებში, სადაც ასეთი რამ დასაშვებია, მაგალითად, გასახდელებში.

ქალაქის საბჭოს წევრებმა ათეულობით მცხოვრების აზრი მოისმინეს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქალის სიშიშვლე დააზიანებდა დასახლებულ პუნქტსა და მის რეპუტაციას. ზოგიერთის თქმით, ეს იმას გამოიწვევს, რომ ნაკლები პატივისცემა იქნება ქალების მიმართ და ისინი საფრთხის წინაშე დადგებიან.

ქალაქის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა რეი მარტინსმა განაცხადა, რომ არ სურს იმის ყურება, თუ როგორ გადაიქცევა ფორტ-კოლინსი სტრიპტიზკლუბად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჩინელი ანკესით ქალების საცვლებს იპარავდა

ჩინეთის პოლიციამ დააკავა ქალაქ ლიაინის მცხოვრები, რომელიც ქალების საცვლებსა და სხვადასხვა ნივთს იპარავდა. 32 წლის მამაკაცმა მოიპარა 285 ბიუსტჰალტერი, 185 ტრუსი და კიდევ 102 სხვადასხვა ნივთი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი მიმდინარე წლის სექტემბერში დააკავეს, როდესაც პოლიციამ შემოწმების მიზნით მისი მიკროავტობუსი გააჩერა. მანქანაში სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს ყვე-



ლა ის ნივთი, რომლებსაც ის სამი წლის განმავლობაში იპარავდა. აღსანიშნავია, რომ მოსაპარად ჩინელი თვითნაკეთ მოწყობილობას იყენებდა, რომელიც ანკესს ჰგავდა.

დაკავებულმა აღიარა, რომ თავდაპირველად ქალის ტანსაცმლის რამდენიმე დეტალის მოპარვა, უბრალოდ, გასართობად სურდა, შემდეგ კიდევ რამდენიმე ქურდობა ჩაიდინა და მალე უკვე საკუთარ თავს ველარ აკონტროლებდა. პოლიციაში განაცხადეს, რომ მამაკაცს ფსიქოლოგიურ დახმარებას აღმოუჩენენ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

# „ტიტანიკის" აისბერგის სურათი აუქციონზე გაიყიდა

ბრიტანეთის უილტშირში აუქციონზე 21 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა აისბერგის ფოტოსურათი, რომელიც, სავარაუდოდ, „ტიტანიკის" დაღუპვის მიზეზი გახდა.

ვაჭრობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ სურათი ბრიტანული ლაინერის



ყინულის ლოდთან დაჯახებიდან რამდენიმე საათშია გადაღებული გემ „პრინცი ადალბერტის" მთავარი სტიუარდის მიერ, რომელმაც კატასტროფის ადგილთან ჩაიარა.

უილტშირის აუქციონზე 15 ათას ფუნტად ასევე გაიყიდა „ტიტანიკის" მაშველი ნავის მშრალ საუზმეში შემავალი ორცხობილა, ხოლო 130 ათას ფუნტად – ვერცხლის თასი, რომელიც „ტიტანიკის" გადარჩენილმა მგზავრმა მარგარეტ ბრაუნმა თბომავალ „კარპატიას" კაპიტანს მადლიერების ნიშნად აჩუქა.

## კულტურა

# „ნიჭიერი" გადაიდო




ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, პროექტი „ნიჭიერის" სატელევიზიო პრემიერა გადაიდო. როგორც მეგაშოუს ოფიციალურ გვერდზეა აღნიშნული, 26 ოქტომბრის ნაცვლად, „ნიჭიერის" მეექვსე სეზონის სატელევიზიო ჩვენება ნოემბრის დასაწყისში დაიწყება.

პროექტის ჩვენების გადადება ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებთან არის დაკავშირებული. არხის ხელმძღვანელობა და „ნიჭიერის" პროდიუსერები იმედოვნებენ, რომ სასამართლო დავა სამართლიანად დასრულდება და არხის ყველა თანამშრომელს ისევ მიეცემა საშუალება, საკუთარი პროექტები განახორციელოს.

**ეკა ირემაშვილი**

# ოქონის ტრიპტიკონი სადავო ხდება



ქართული კულტურის კიდევ ერთი საგანძური – ოქონის ტრიპტიკონი სადავო ხდება. უნიკალურ ქართულ საგანძურზე პრეტენზიები გააჩნია ოკუპირებულ ცხინვალს. ოფიციალური თბილისისგან არაღიარებული მთავრობის წარმომადგენელი ოქონის ტრიპტიკონის ცხინვალის მუზეუმისთვის გადაცემას ითხოვს. საოკუპაციო რეჟიმს სიწმინდესთან დაკავშირებით საკუთარი მოთხოვნის დაყენება ჟენევის მოლაპარაკებებზე აქვს გადაწყვეტილი.

სპილოს ძვლისგან დამზადებულ და ვერცხლით მოჭედილ ხატზე ღვთისმშობელი, იესო და იოანე ნათლისმცემელია გამოსახული. ხატი ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშად ითვლება და X საუკუნის მიწურულით არის დათარიღებული. მეცნიერთა აზრით, ტრიპტიკონი საქართველოში ბაგრატ IV-ის მეუღლემ, დედოფალმა ელენემ მზითვად ჩამოიტანა, XII საუკუნეში კი თამარ მეფემ გორში ოქონის ტაძარი ააშენა და იქ ოქონის ტრიპტიკონის დასვენება ბრძანა.

ხატი წლების წინ ცხინვალის მუზეუმიდან საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა, 2001 წელს კი ჟენევაში კრისტის აუქციონზე აღმოაჩინეს, სადაც სპეციალურმა კომისიამ მისი საწყისი ფასი 2 მილიონი აშშ დოლარით განსაზღვრა და აუქციონზე ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ლოტად დარეგისტრირდა.

ოქონის ტრიპტიკონი საქართველოში 2004 წელს ჩამოიტანეს და ის თბილისის სახელმწიფო მუზეუმის საგანძურს გადაეცა, სადაც დღემდე ინახება.

**ეკა ირემაშვილი**

## საერთაშორისო

# ტრამპის პოპულარობა ეცემა



ამერიკელმა სამშენებლო მაგნატმა დონალდ ტრამპმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა, რამაც ხელი შეუწყო მისი პოპულარობის დაცემას.

ტრამპის აზრით, მსოფლიო გაცილებით მშვიდად იგრძნობდა თავს, სადამ ჰუსეინი ან მუამარ კადაფი კვლავაც ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ.

– ახლო აღმოსავლეთში ვითარება მაშინ აირია, როცა ხელისუფლებაში ბარაქ ობამა მოვიდა. ასევე შეცდომა იყო ერაყში შეჭრა, რაც ჯორჯ ბუშ უმცროსის დროს მოხდა! – თქვა ტრამპმა.

ამ განცხადებამ ტრამპის რეიტინგი დასცა. ახლა მას სენატორი კარლონი ეწევა.

დღეს უკვე ნათელია, რომ დემოკრატების კანდიდატი ჰილარი კლინტონი იქნება, რესპუბლიკელებს შორის პრეზიდენტის კანდიდატობისათვის ბრძოლა კი ჯერ არ დასრულებულა.

**ნიკა თევზაძემ**

# ასტროპროგნოზი

## 27 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. უმჯობესია, ცოდნის არეალის გაფართოებაზე იზრუნოთ. კონფლიქტური დღეა. ჩხუბი და საქმის გარჩევები სიტუაციას უფრო გაართულებს. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. ახალი ინფორმაცია სასარგებლო იქნება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ამის მიუხედავად, ნებისყოფა მოიკრიბეთ და დასახული მიზნისკენ სვლა არ შეანელოთ. წარმატება გელით კარიერასა და ფინანსურ ოპერაციებში. **კირჩხიბი** – პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. თქვენი დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ. **ლომი** – გეგმები გეცვლებათ. ნუ გარისკავთ. კომერციული საქმიანობა და ბიზნესმოლაპარაკებები რეკომენდებული არ არის. **ქალწული** – ფინანსური კრიზისი უკან დარჩა. თქვენთვის ხალისიანი და წარმატებული პერიოდი იწყება. **სასწორი** – მეგობრების რჩევები მხედველობაში მიიღეთ. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ღრიანკალი** – მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ახალ სამსახურს, შემოქმედებითი არეალის გაფართოებას. აჩქარება არ ივარგებს. ერიდეთ ჭორიკანა ადამიანებთან კონტაქტს. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა. ახალგაცნობილ ადამიანებს ერიდეთ. მათი რჩევების გამო, შესაძლოა, ფინანსურად დაზარალდეთ. **თხის რქა** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. **მერწყული** – თავს ნუ მოიტყუებთ. მოვლენები რეალისტურად შეაფასეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას. **თევზები** – რთული არჩევანის წინაშე დგახართ. ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. ენერგია დაზოგეთ. შორეული ნაცნობი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად;** 1. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 2. საჭმელი სოკო; 3. სარკაზმული, პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 6. ფოტო-ჟურნალისტთა მეტსახელი; 8. ლომების ჯოგი; 11. ებრაული სამლოცველო; 12. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმანური კალენდარი; 18. სპირტიანი სასმელი.

**თარაზულად:** 1. მარგალიტის ყელსაბამი; 5. რაიმეს მიმდინარეობის, განხორციელების სისწრაფე; 7. ნ.ბ.ა.-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ხეხილის ბაღი; 10. ქალაქი მუზეუმი იტალიაში; 13. ძვლის მაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება-დასახლება ისრაელში; 15. აშშ-ს ელჩი საქართველოში; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. აპრილი; 2. რეკორდი; 3. რკო; 4. სი; 5. ენა; 6. არენა; 7. ფარსი; 8. თოფი; 9. ილი; 10. კორიდა; 11. კაპიკი; 12. კაროლ; 13. პენსნე; 14. პრადო; 15. ანოა; 16. ხი; 17. ლაპი; 18. სინაი; 19. იხვი; 20. კარამანლისი; 21. კობალტი; 22. კრატერი; 23. ეპონჟი; 24. პესო; 25. კაჟი; 26. ჟაკანი; 27. პომპა; 28. ვირა; 29. ჰანოი; 30. ავინიონი; 31. ჰავა; 32. აკრა; 33. ტარას; 34. სნო; 35. მინდორი.

**სურათებზე:** პაიპერ პერაბო; ივან სამორანო.

# სოფო ბედია ქიბარ ხალვაშს წარმატებას უსურვებს



მომღერალი სოფო ბედია სპეციალურ განცხადებას სოციალურ ქსელში ავრცელებს და ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. მას შემდეგ, რაც სოფოს მეუღლემ მიშა მესხმა ქართველ მომღერლებს შეურაცხყოფა მიაყენა, წყვილის მიმართ აგრესიამ იმატა.

**სოფო ბედია:**

– მოგესალმებით მეგობრებო! არასოდეს გამოვირჩევი ჩემი პოსტებით ზოგადად პოლიტიკაზე! ვარ ძალიან „ა" პოლიტიკური ადამიანი! მე მომღერალი ვარ და, შესაბამისად, ვმღერი ჩემი საყვარელი მსმენელისთვის!

რაც შეეხება რუსთავი 2-ს! დიახ, მე „ჯეოსტარით" გავხდი ცნობილი, დიახ, „ბრავო" იყო წარმატებული პროექტი და ბევრი სხვა გადაცემები რუსთავი 2-ზე! მე პირადად დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მაია ასათიანს და მის მთელ შემოქმედებით ჯგუფს! მაიკო, გვიყვარხარ მეც და მიშასაც! მიყვარს და პატივს ვცემ „პროფილის" პროდიუსერებიდან დაწყებული, ოპერატორებით დამთავრებული ყველა! მიყვარს „მარაო", „რუსთავი 2"! ყველა გადაცემის სტუმარი ვიყავი და მადლობა ამისათვის!

რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, აქ, მე მგონი, საფრთხე არავის ემუქრება! საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ მფლობელი იბრუნებს თავის კუთვნილ ტელევიზიას! ვფიქრობ, რომ ამ თემის გაპოლიტიზირება არ არის ლამაზი! ქიბარ ხალვაში არის ძალიან კეთილი და კარგი პიროვნება! არაჩვეულებრივი ადამიანი, მეუღლე, მამა და მეგობარი! მე მასზე ბევრი კარგი მსმენია, არა მარტო ჩემი მეუღლისაგან, არამედ ძალიან ბევრი კომპეტენტური ადამიანისაგან! ბატონო ქიბარ, გისურვებთ წარმატებას და, იმედია, სიმართლე გაიმარჯვებს!

# თაკო ნაცვლიშვილი ლიბანელმა დიზაინერმა მიიწვია



17 წლის ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი წარმატებით აგრძელებს მსოფლიო სამოდელო კარიერას.

ლიბანელმა დიზაინერმა ზუჰაირ მურადმა ქართველი მოდელი თავისი საქორწილო კაბების სახედ აარჩია და ფოტოსესიაზე მიიწვია. დიზაინერი პირველად ივლისში გამოჩნდა ოტ კუტიურ ჩვენებაზე. ჩვენების დასრულების შემდეგ, ზუჰაირ მურადის ოფიციალურმა გვერდმა ახალბედებიდან პირველი თაკოს ფოტო დადო მინაწერით – საოცნებო და ვარსკვლავი.

# მწერლები ლიტერატურულ საღამოს საოკუპაციო ხაზთან გამართავენ

27 ოქტომბერს ქართველი მწერლები საოკუპაციო ხაზთან ლიტერატურულ საღამოს გამართავენ. სოფელ დიცში ანა კორძაია-სამადაშვილი, ზურაბ ქარუმიძე და სალომე ბენიძე ჩავლენ, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარ ნაწარმოებებს გააცნობენ. შეხვედრის დროს, საუბარი შეეხება ლიტერატურული პროცესების განვითარების მნიშვნელობას და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, კულტურული დიალოგის გაღრმავების დადებით გავლენას. ინტერაქციის რეჟიმში მწერლები გამართავენ დიალოგს ადგილობრივ მკითხველებთან. შეხვედრა დიცის საჯარო სკოლაშია დაგეგმილი.

პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო" კულტურის სამინისტროს და ლიტერატურის მუზეუმის ორგანიზებით ხორციელდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**სპორტი**

# მასკერანოს 4 მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება



ბარსელონას არგენტინელმა ნახევარმცველმა ხავიერ მასკერანომ ეიბართან შეხვედრაში (3:1) მოედანი ნაადრევად დატოვა, რისი მიზეზიც მისი გაძევება იყო.

როგორც მატჩის შემდეგ გაირკვა, მასკერანომ შეხვედრის მთავარ არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ესპანეთში მკაცრად ისჯება.

ჯერჯერობით ესპანეთის სადისციპლინო კომიტეტს არ გამოუტანია ვერდიქტი, თუმცა, სავარაუდოდ, მასკერანოს 4 მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

თუ ასე მოხდა, მასკერანო მადრიდის რეალთან შეხვედრას გამოტოვებს, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართება.

# ლევან მჭედლიძემ ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა



ლევან მჭედლიძეს ტრავმა მოუშუშდა, მაგრამ ახლა კუნთი უნდა აღდგეს და დაუბრუნდეს ჩვეულ მუშაობას. ასე რომ, მას კიდევ მოუწევს უქმობა და ვერც იტალიის ჩემპიონატის მომდევნო ტურში დაბრუნდება.

ქართველმა ფორვარდმა სპეციალური ტესტირება გაიარა სამედიცინო ცენტრში, სადაც გამოჩნდა, რომ ტრავმა მორჩენილია. თუმცა ლევანს თვენახევარი მოუწია უქმობა და ტესტირებამ აჩვენა, რომ მან კუნთის მასა დაკარგა, რაც ძალიან საფრთხილოა, რადგან ნაადრევად თამაშმა შესაძლოა, ხელახალი ტრავმა გამოიწვიოს.

აქვე აღსანიშნავია მჭედლიძის ტრავმებისადმი მიდრეკილება. ამის გამო ემპოლის ექიმები მის შემთხვევაში კიდევ უფრო ფრთხილობენ.

იტალიაში შუა კვირაში ტურია – ემპოლი ხუთშაბათს სამპდორიას სტუმრობს, ხოლო ორშაბათს, 3 ნოემბერს – პალერმოს. ჩვენებური ორივე ამ თამაშს გამოტოვებს.

ითამაშებს თუ არა ლევანი 8 ნოემბერს იუვენტუსის წინააღმდეგ, ჯერ ძნელი სათქმელია.

*ბექა გოგინაშვილი*

# ვითას პროგრესი გასამარჯვებლად არ ეყო



**კალევი – ვითა 85:75**

**(20:15; 17:25; 21:15; 27:20)**

ვითიბი ლიგის მორიგ ტურში მორიგი მარცხი იწვნია თბილისის ვითამ. ქართული კლუბი ისევ ორნიშნა სხვაობით დამარცხდა, თუმცა ეს იყო ყველაზე მინიმალური წაგება ამ ტურნირზე.

დებიუტანტი ვითა დიდხანს უძალიანდებოდა ამ ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე უხნეს გუნდს, მაგრამ მატჩის ბოლოს ბალტიისპირელთა ინდივიდუალურმა ოსტატობამ მატჩის ბედი გადაწყვიტა.

კალევი ამ მატჩს კარგი განწყობით შეხვდა, რადგან წინა ტურში ფინურ ბიზონსთან მოგებათა ანგარიში გახსნა. ვითას აქამდე მოგება არ ჰქონდა, მაგრამ მეტოქეებად ისეთი გუნდების ჰყავდა, რომლებიც არა მარტო პლეი ოფში გასვლაზე, არამედ ტიტულისა თუ მედლების მოპოვებაზე აცხადებენ პრეტენზიას. ამიტომაც ბალტიისპირელთა მატჩს უნდა გამოეჩინა გუნდის ნამდვილი სახე.

ამ მატჩმა გამოაჩინა, რომ ვითას პროგრესი აშკარაა. ალექსანდრე ლიპოვის მონდომებით, სტუმრები მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ლიდერობდნენ.

პირველი მეოთხედის ბოლოს კალევის მაღლებმა ბალტიისპირელები დააწინაურეს. ვითამ მეორე მეოთხედი უფრო ძლიერად ჩაატარა და შესვენებაზე 3-ქულიანი ჰანდიკაპითაც გავიდნენ.

მესამე მეოთხედი ვითამ ცუდად დაიწყო და კელვმა 10:0 გაქცევა მოაწყო. პაველ გოოგემ წუთშესვენება აიღო და ლიპოვის ორგანიზებით თბილისელებმა იგივე პასუხი გასცეს მეტოქეს და ისევ 3 ქულით დაწინაურდნენ. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ბოლო ათწუთეულს ამდენივე ქულის მინუსით შეხვდნენ.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ავანსცენაზე ფრეისმანისის გამოსვლა, რომელმაც თავის თავზე აიღო თამაში.

ბოლო მეოთხედში მან რამდენჯერმე ზუსტად ესროლა პერიმეტრიდან და არც ფარქვეშ შესვლას ერიდებოდა. ამას ვითელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და საბოლოოდ 75:85 დამარცხდნენ.

ერთია, პროგრესი ჩანს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ნიკა მეტრეველი სერია ა-ს გაუშინაურდა



ამ უქმეებზე ქართველმა კალათბურთელებმა ევროპის წამყვან საკალათბურთო ლიგებში კარგი მატჩები ჩაატარეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკა მეტრეველის ბრწყინვალე მატჩი იტალიის სერია ა-ში. ქართველი ფორვარდი დორლანდოს სასტარტო ხუთეულში ზედიზედ მეორედ გამოჩნდა და ამჯერად მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

დორლანდოელებმა მორიგი მატჩი მოიგეს და ამაში ქართველი ფორვარდის დამსახურება დიდია. მეტრეველის გუნდმა 3 ტურის თავზე წაუგებლად მოლიდერე რეჯიო ემილია დაამარცხა – 68:62.

მეტრეველმა 31 წუთი ითამაშა და ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა. ნიკამ 9-დან 5 ორქულიანი და 2-დან ორივე საჯარიმო ჩააგდო. ქართველ ფორვარდს საბოლოოდ 12 ქულა, 8 მოხსნა და 1 პასი დაუგროვდა.

მეტრეველი ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს იტალიის უმაღლესი ლიგის გუნდის სასტარტო ხუთეულში და კლუბიც წარმატებით ასპარეზობს – დორლანდოს 4 ტურის შემდეგ 3 მოგება აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება.

მორიგ ტურში, 1 ნოემბერს, მეტრეველის გუნდი ვარეზეს უმასპინძლებს.

საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში მორიგი ტურის მატჩი გამართა გიორგი ცინცაძის გრაველინმა. დიუნკერკელები სტუმრად ლე მანს ეთამაშნენ და დაძაბულ ბრძოლაში 69:73 წააგეს.

ქართველი გამთამაშებელი სათადარიგო იყო და მოედანზე 12 წუთი იმყოფებოდა. მცირე დროის გათვალისწინებით, ცინცაძე საკმაოდ შედეგიანად გაისარჯა.

გიორგიმ 2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ცინცაძის ანგარიშზე საბოლოოდ 7 ქულა, 2 პასი და 1 ჩაჭრა დაგროვდა. პასივში მას მხოლოდ 2 დაკარგვა ჰქონდა.

3 მოგებითა და 2 მარცხით გრაველინი 18-გუნდიან ლიგაში მე-9 ადგილზეა. მომდევნო ტურის მატჩში, 30 ოქტომბერს გრაველინი ცხრილში მეზობელ ორლეანს უმასპინძლებს.

გიორგი შერმადინის ანდორამ ესპანეთის უმაღლეს ლიგაში დასანანი მარცხი იწვნია. ანდორელებმა მანრესას უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 74:77 წააგეს.

შერმადინი სათადარიგო იყო და მოედანზე 15 წუთით გამოჩნდა. ქართველმა ცენტრმა 2-დან 1 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. გიორგიმ 7 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა.

3 ტურის შემდეგ შერმადინის გუნდს 1 მოგება აქვს და ცხრილში მე-12 ადგილზე იმყოფება. მომდევნო მატჩს ანდორელები 1 ნოემბერს, სტუმრად ფუენლაბრადასთან გამართავენ.

ასევე საუკეთესო მატჩი ჩაატარა ბექა ბურჯანაძემ ესპანეთის რანგით მეორე ლიგაში. ლეიმა ბასკეტმა კი სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა. ეს მოხდა ბრეგანის წინააღმდეგ, რომელიც ლაკორუნიულმა გუნდმა შინაურ კედლებში 71:62 დაამარცხა.

21 წლის ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 26 წუთი დაჰყო.

ამ ხნის განმავლობაში ბექამ 4-დან 1 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ბურჯანაძემ 16 ქულა მოაგროვა, რასაც 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაყოლა.

ამ მოგებით ლაკორუნიელებმა თავი დააღწიეს 16-გუნდიანი ლიგის ფსკერს და მე-13 ადგილზე განთავსდნენ.

მომდევნო ტურში, 31 ოქტომბერს, ბურჯანაძის გუნდი სტუმრად პალმა ეუროპას შეხვდება.



## TV პროგრამა

**სამშაბათი 27 ოქტომბერი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე** **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიზაინი" **14.05** მხ/ფ "**ბერძენი მაგნატი**"(ჟ.ბისე) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ზეითსების მოტელი**" **22.00** მხ/ფ "**ჩაკ და ლარი" გაცხადებთ მეუღლეებად**" (ა.სენდლერი) **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ერთი ქალის ამბავი**" (ა.ჟირარდო)

**08.00, 15.00, 17.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ჩემი პატარა საწარმო – მიკროკრედიტი ევროპაში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **12.00** მხ/ფ "**ლამაზი ანტონიო**" I-II სერ. **14.00, 22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **16.00** დ/ფ "კოდის კონცხი" **18.00** დ/ფ "ახალგაზრდული სული" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**მკითხველი**"

**06.00** სერ. "**კარმა**" **06.30** სერ. "**ბოშა ქალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**საიდუმლო**") **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** VOICE- საქართველო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**სერენა**" (ბ.კუპერი) **02.55** მხ/ფ "**ჟიგოლოს ნილბის ქვეშ**" (ვ.ალენი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" მოქმედება II-III **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-სიბრძნე ბალავარისა **10.40** საქართველოს ქალაქები-სიღნაღი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "ანიმაცია–ლელა ტაბლიაშვილი" **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საუკუნის პორტრეტები-გალაკტიონი **16.20** კონცერტი **17.00** მგზავრები წუთისოფლისა "ტანძია" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-ათინათი (სამტრედია) **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "იოსების სიზმარი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი "აფხაზეთის გასაბჭოება" **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05 სერიალი "ქუჩები და გული"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ჩემი საყვარელი და"** **1.30 სერიალი "ტატიანა"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 ოქტომბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4049

ევრო — 2.6687

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7004

100 რუსული რუბლი — 3.8731

**ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისთვის**






## კალეიდოსკოპი

## წლის ყველაზე სექსუალური ქალები



ამერიკულმა ჟურნალმა GQ-მ 2015 წლის ყველაზე სექსუალური ქალების სია შეადგინა, რომელიც გამოცემის ვებგვერდზეა განთავსებული.

წლის ყველაზე სექსუალური ქალების სიაში შევიდნენ ტოპ-მოდელები ბელა ჰადიდი, შარლოტ მაკკინი, კენდალ ჯენერი, ტონი გარნი და სიუკი უოტერჰაუსი. ასევე სიაში მოხვდნენ მსახიობები ზოი კრავიცი და ნატალი ემანუელი.

სია ისე იქნა შედგენილი, რომ საპრიზო ადგილები არავისთვის მიუკუთვნებიათ. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ განმარტა, რომ გამარჯვებული ჯერ არ აურჩევიათ და მას დეკემბერში გამოავლენენ.

ანალოგიურ რეიტინგს რეგულარულად ადგენენ სხვა გამოცემები. მაგალითად, ოქტომბერში გამოცემა ესქვაირმა წლის ყველაზე სექსუალურ ქალად ბრიტანელი მსახიობი ემილია კლარკი აღიარა.

## ყველაზე ლამაზი სხეულის მქონე ქალები



მსახიობები მერილინ მონრო, კერი ფიშერი და პამელა ანდერსონი ისტორიაში ყველაზე ლამაზი „პლაჟის სხეულის“ მქონე ქალების სიაში მოხვდნენ. ეს მორიგი გამოკვლევის შედეგად დადგინდა. გამოკვლევის მონაწილეებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ ის ქალები, რომლებიც ყველაზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ ბიკინიში. თავიანთ ვარიანტებს ასახელებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

რეიტინგში წარმოდგენილნი არიან ჰოლივუდის ლეგენდები ელიზაბეტ ტეილორი და რიტა ჰეივორტი, ასევე ისინი, ვინც კარიერას საცურაო კოსტუმების დემონსტრირებით იწყებდა (მაგალითად, კრისტი ბრინკლი და ფერა ფოსეტი).

გარდა ამისა, რესპონდენტებმა სიაში შეიყვანეს აგენტ 007-ის ქალები: მსახიობები ურსულა ანდრესი და ჰოლი ბერი. სიაში ასევე მოხვდნენ მსახიობები რაკელ უელჩი, სალმა ჰაიეკი და ანჯელინა ჯოლი.

## მშობლები მასწავლებელს სელფის გამო დევნიან



ამერიკის იუტის შტატის სანპეტის საგრაფოს საშუალო სკოლის მოსწავლეების მშობლები მოითხოვენ მასწავლებელ მინდი ჯენსენის სკოლიდან გაძევებას, რომელმაც თავის ინსტაგრამ-აკაუნტში სელფი დაბეჭდა, რომელზეც ის ბიკინიში გამოწყობილია აღბეჭდილი. მშობლებმა ის პორნოფოტოგრაფიად ჩათვალეს.

სკოლის ადმინისტრაცია ნაწილობრივ დაეთანხმა მშობლების მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს და ჯენსენს მოსთხოვა, ან ფოტოსურათები მოაშოროს, ან საკუთარი აკაუნტი დახუროს, ან სამსახურის დასატოვებლად მოემზადოს.

ფიტნესით გატაცებულმა მასწავლებელმა ინსტაგრამ-აკაუნტში, რომელშიც გამოგონილი სახელით იყო დარეგისტრირებული, სპორტში საკუთარი წარმატებების წარმოჩენა გადაწყვიტა და სწორედ ამიტომაც განათავსა სურათები, რომლებმაც მისი მოსწავლეების მშობლების აღშფოთება გამოიწვია.

— რატომ მართმევენ ჩემს უფლებას მე და არა ბავშვებს? ეს მათ დაუწესეთ შეზღუდვა. ეს თქვენი ოჯახური საქმეა, — განაცხადა მშობლების პასუხად ჯენსენმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გვარდიოლა ჩელსიში გადადის?



ლონდონის ჩელსი სერიოზულ კრიზისშია. ლონდონელები ინგლისის ჩემპიონატში 10 ტურის შემდეგ მე-15 ადგილზე არიან და მხოლოდ 11 ქულაა მათ აქტივში.

ჟოზე მაურინიოს უკვე ბევრს აკრიტიკებენ და არ არის გამორიცხული, რომ მან გუნდი დატოვოს. მაურინიოს შემცვლელად ჩელსის ხელმძღვანელობა მიუნხენის ბაიერნის ამჟამინდელ მწვრთნელს, ხოსეპ გვარდიოლას მოისაზრებს, რომელსაც ბაიერნთან კონტრაქტი ამ ზაფხულში ეწურება.

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩელსიმ უკვე დაიწყო ესპანელ მწვრთნელთან მოლაპარაკება, თუმცა თვითონ გვარდიოლა ჯერჯერობით ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს და კომენტარს არ აკეთებს.

## ისკო ბარსელონას უნდა



მადრიდის რეალის შემტევი ნახევარმცველი ისკო ალკორკონი გუნდში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და რეალის დატოვებას აპირებს.

როგორც ცნობილი გახდა, ისკოს უთანხმოება მოუვიდა სამწვრთნელო შტაბთან, რის გამოც მან ბოლო შეხვედრები სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

არ არის გამორიცხული, ისკომ კარიერა ბარსელონაში გააგრძელოს.

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კატალონური გუნდი დაინტერესებულია ისკოს შეძენით და მზად არის, მასში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ისკოს შეძენით დაინტერესებულია მანჩესტერ სიტიც, თუმცა ბარსელონას ვარიანტი უფრო რეალური ჩანს.

ტრანსფერები რეალიდან ბარსელონაში, ან პირიქით ძალიან იშვიათად ხდება. ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ლუის ფიგოს რეალში გადასვლა იყო, რომელიც 2000 წელს მოხდა.

**ბ.ქ.**

## რუსკა მაყაშვილი დაინიშნა



რუსთაველის თეატრის მსახიობი და ტელეწამყვანი რუსკა მაყაშვილი დაინიშნა.

მსახიობი განსაკუთრებით პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ ანჩოს როლი განასახიერა. რუსკა სხვადასხვა შოუებში მიიწვიეს და ტელეწამყვანი გახდა, თუმცა არც შოუებში მონაწილეობაზე უთქვამს უარი. მსახიობმა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა და ოთო ფოლადაშვილთან ერთად პროექტიც მოიგო.

„ერთი ერთში“, „იქს ფაქტორი“, „ნიჭიერი“ — ეს იმ პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც რუსკა მაყაშვილს მიჰყავს. წელს რუსკა „ნიჭიერის“ ჟიურიშია.

რუსკას ნიშნობის ინფორმაცია სწორედ „ნიჭიერის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა. ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ფოტო კი მსახიობმა სოციალურ ქსელში თვითონვე გამოაქვეყნა.

— ასეთი სასიხარულო ამბავი გვაქვს, ჩვენი ჟიურის ყველაზე მხიარულ წევრს გუშინ ნიშნობა ჰქონდა, — ნათქვამია „ნიჭიერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

რუსკა მაყაშვილის რჩეული მორაგბე სანდრო ნიჟარაძეა. რუსკა სანდრომდე ლევან ყიფიანის ვაჟს გიორგი ყიფიანს ხვდებოდა, თუმცა მოგვიანებით წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მსახიობმა ურთიერთობა სანდრო ნიჟარაძესთან დაიწყო, მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ნიშნობით დასრულდა.

როდის გაიმართება რუსკას და სანდროს ქორწილი, ამ ეტაპზე უცნობია. რუსკას ნიშნობას და გაბედნიერებას სოციალურ ქსელში უამრავი ადამიანი ულოცავს და საუკეთესო სურვილებით ლოცავს.

**ეკა ირემაშვილი**



## იუმორი

ბავშვი სახლში ატირებული დაბრუნდება. მამა ეკითხება:

— რა მოგივიდა?

— ვახომ დამარტყააა...

— მერე, შენ არაფერი ქენი?

— დავეციიი...

●●●

კაცი საავადმყოფოში მეგობარ ექიმს შეხვდა. მეგობარი ეკითხება:

— აქ რა გინდა?

— ბავშვები მოვიყვანე.

— რა სჭირთ, ხომ მშვიდობაა?

— ჭადრაკს თამაშობდნენ წკიპურტებზე და ერთს თითი აქვს მოტეხილი, მეორეს კი ტვინის შერყევა აქვს.

●●●

შვილიშვილი ბებიას ეკითხება:

— ბებია, ჩვენს სახლში ყველგან თვალის სურათები რატომ ჰკიდია?

— იმიტომ, რომ ბაბუაშენი ოფთალმოლოგი იყო.

— კიდევ კარგი, გინეკოლოგი რომ არ იყო...

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს გასძახებს:

— ოფიციანტ!

— დიახ!

— ჩემს წვნიანში ტარაკანა ფართხალებს.

— თავდაღმა თუ გულაღმა?

— გულაღმა.

— ეგ მოცეკვავეა, კლიენტებისთვის „ბრეიკს“ ცეკვავს.

●●●

კოჭლი შვილი მამას ეუბნება:

— ომში უნდა წავიდე, მამი.

— დაეტიე აქა, სად უნდა წახვიდე, გინდა, აქ მე მანერვიულო და იქ სნაიპერი?!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

— თქვენ გულის გაგანიერება გაქვთ.

— ეჰ, მაგას არ სჯობდა, ჯიბის გაგანიერება მქონოდა?!

●●●

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი მშობლებს ეუბნება:

— მორჩა, ხვალიდან სკოლაში აღარ წავალ.

— რატომ, შვილო?

— კითხვა მე არ ვიცი და წერა, ლაპარაკსაც მიშლიან და იქ რა მინდა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. 50-იანი წლების საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური, დაბალყელიანი რბილი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა-საუკუნეების საქართველოში; 8. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. სხვადასხვა ფერის, მინის მსგავსი, არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარავად; 12. ძმარში ჩადებული, მოხარშული ღორის ფეხებისაგან მომზადებული ცივი საუზმეული; 14. მწვანეთი მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:**1. ბულგარეთში მდებარე ქართული მონასტერი; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 10. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 11. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 13. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 15. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 19. შარლ გუნოს ოპერა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

